ამირან ჯიბუტი

საქართველოს საგარეო და შიგა ვალი

თბილისი

2012

ნაშრომში განხილულია საქართველოს საგარეო და შიგა ვალების წარმოქმნის მიზეზები, განსაზღვრულია მათი დინამიკა და სტრუქტურა, დახასიათებულია საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასების კრიტერიუმები, გაანალიზებულია საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და დადგენილია საგარეო ვალის ძირითადი თანხებისა და მომსახურების გადასახდელების დაფარვის შესაძლებლობები. ამასთან, შემუშავებულია სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებები.

კვლევის შედეგების გამოყენება შეიძლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის პრაქტიკულ საქმიანობაში, აგრეთვე პარლამენტსა და მთავრობაში საგარეო და შიგა ვალების შესახებ კანონპროექტებისა და ღონისძიებების შემუშავების დროს. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **ელგუჯა მექვაბიშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **გედევან ხელაია**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
მიხეილ როკეტლიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

შესავალი

სახელმწიფო ვალის მართვის და ეფექტიანად გამოყენების პრობლემის კვლევა საქართველოში ახალი საქმეა. 90-იან წლებამდე საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო ვალდებულებები არ ჰქონია. სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული ოპერაციები მხოლოდ საკავშირო მასშტაბით წარმოებდა. სსრ კავშირის როგორც საგარეო, ისე შიგა ვალების და, განსაკუთრებით, საგარეო აქტივებისა და პასივების შესახებ მონაცემები გასაიდუმლოებული იყო და ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას არ ექვემდებარებოდა, ამასთან საბჭოური ვალების მართვისა და ეფექტიანად გამოყენების საკითხებზე ეკონომიკური გამოკვლევებიც არ არსებობდა.

საგარეო და შიგა ვალების შესახებ კვლევა ჩვენში მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო.

ამდენად, საქართველოში სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული პრობლემები სერიოზული კვლევის საგანია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად დაისახეთ საქართველოს საგარეო და შიგა ვალების დინამიკისა და სტრუქტურის განსაზღვრა და ვალების მართვისა და ეფექტიანად გამოყენების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება, ქვეყნის მიერ საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობების (გადახდისუნარიანობის) დადგენა, საგარეო ვალების ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტის დაფარვის უზრუნველსაყოფად ქვეყნის საფინანსო, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, საგარეოსავაჭრო და სავალუტო ურთიერთობების მოწესრიგებისა და გაუმჯობესების მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება.

ვფიქრობ, წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებსა და ასპირანტებს, მეცნიერ-ეკონომისტებს, სახელმწიფო მოხელეებს, ეკონომიკის დარგის მუშაკებს და, საერთოდ, ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

1. რა მიზეზებმა განაპირობეს საქართველოს მიერ საგარეო ვალების აღება?

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, უმძიმესი იყო საქართველოს ისტორიაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. წარმოქმნილი ფრიად არაორდინალური ვითარების მეოხებით, ეკონომიკის დაქვეითებამ საქართველოში მასშტაბური და ინტენსიური სასიათი მიიღო.

ამ პერიოდში მიღებულმა მცდარმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა საგალალო მიმართულება მისცა საზოგადოებრივ ცხოვრებას. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვნად გაამწვავა შიგა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, რამაც ქვეყანა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილ მოვლენებამდე მიიყვანა. ქვეყნის გარედან ინსპირირებულმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა და სამოქალაქო ომმა 1992-1993 წლებში დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეუქმნა.

ჯერჯერობით შეუძლებელია ამ ნგრევის არათუ სოციალური და მორალური შედეგების, არამედ პირდაპირი ზარალის ზუსტი შეფასებაც. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, იგი 13 მლრდ დოლარს აჭარბებს. გარდა ამისა, დიდი იყო ზარალი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას მიადგა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის სამეურნეო პოტენციალის სრული პარალიზებით.

1990-1993 წლებში კატასტროფულად შემცირდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა. ამასთან, დამახასიათებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. ამას მოჰყვა ინფლაციის ფანტასტიკური მატება, ვინაიდან დეფიციტი ძირითადად ფულის ემისიის გადიდებით იფარებოდა.

ეკონომიკური დაქვეითებისა და მზარდი საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში საქართველოს მთავრობას საბაზრო

ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემების გადასაჭრელად ფაქტობრივად სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მიემართა საზღვარგარეთის მთავრობებისა და საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისათვის სესხებისა და დახმარებებისათვის.

1992 წლიდან საქართველოს მთავრობამ მზარდი სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად ეროვნული ბანკის პირდაპირ კრედიტებთან ერთად დაიწყო საგარეო სესხების გამოყენებაც. საქართველოს საკმაოდ დიდი საგარეო ვალი დაუგროვდა, ამასთან, წლების განმავლობაში იგი პერმანენტულად იზრდებოდა. და, თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მთავრობას ასევე დიდი შიგა ვალი აქვს, დავრწმუნდებით, რომ ამჟამად საქართველოში სავალო კრიზისის რეალური საშიშროებაა.

ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფასა და მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

2. რამდენს შეადგენს საქართველოს საგარეო ვალი?

საქართველომ საგარეო სესხების აღება დაიწყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში. 1992 წელს აღებული იქნა 1 კრედიტი; 1993 წელს – 2; 1994 წელს – 5; 1995 წელს -- 4; 1996 წელს – 14; 1997 წელს – 12; 1998 წელს – 9; 1999 წელს – 2 და ა.შ. 2003 წლის დასაწყისისათვის, გამოყოფილი სესხების ყველა ტრანშის მიღების შემდეგ, საქართველოს დაუგროვდა საგარეო ვალის საკმაოდ სოლიდური თანხა – 1774.64 მლნ აშშ დოლარი.

აღებული სესხების ძირითადი თანხის (1774.64 მლნ დოლარის) დაფარვა 2003 წლიდან უნდა დაწყებულიყო, ამიტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტმა 2003-2014 წლების (კრედიტის დაფარვის ვადების) საგარეო ვალების გადასახდელების გრაფიკი შეადგინა, რომლის მიხედვით გადასახდელი იყო

საგარეო დავალიანების ძირითადი თანხა 1246.84 მლნ დოლარი და სესხის მომსახურების პროცენტის თანხა 317.98 ათასი დოლარი (მთლიანად, 1.564.82 მლნ დოლარი, ანუ ქვეყნის საგარეო ვალის მთლიანი თანხის 88.2%).

ამ თანხის გადახდის პირობები მეტად მკაცრი და ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა.

2003-2007 წლებში საგარეო ვალის ვადადამდგარი გადასახდელების სრული დაფარვისათვის საჭირო იყო დაახლოებით 1750.0 მლნ ლარი (843.82 მლნ დოლარი), ანუ 2003-2007 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 35-40%. ბუნებრივია, საქართველოს ამის შესაძლებლობა აღნიშნულ წლებში არ ჰქონდა. ამიტომ ხელისუფლებამ 2003-2007 წლებში კრედიტორებთან აწარმოა მოლაპარაკებები ვალების რესტრუქტურიზაციის (ვანვადების) შესახებ, რის შედეგად განხორციელდა ადრე აღებული ვალების გრძელვადიანი ვალებით ჩანაცვლება. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველო მხოლოდ ვალების საპროცენტო თანხას იხდიდა (და დღესაც იხდის) და არა მის ძირითად ნაწილს.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებას მიეღო რადიკალური ზომები ვადაგასული საეალო ვალდებულებების გადასახდელად, ახალ ვალებს იღებდა და უფრო ზრდიდა ქვეყნის საგარეო დავალიანებას. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია 2007 წლის შემდეგაც გაგრძელდა. ახალი სესხები აიღეთ გერმანიიდან, იაპონიიდან, ნიდერლანდებიდან და საფრანგეთიდან. ამას დაემატა ჩინეთისა და კუვეიტის ახალი ვალი. ასევე დამატებითი სესხები იქნა აღებული მსოფლიო ბანკიდან – 343.07 მლნ დოლარი, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდიდან – 8.31 მლნ დოლარი. ამასთან, საქართველოს მთავრობის მოთხოვნით ქვეყანაში 500 მლნ ევროობლიგაცია განთავსდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომით დაზარალებულ საქართველოს მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნებმა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე გამოუყვეს 4.5 მლრდ დოლარზე მეტი კრედიტი და გრანტი. ამჟამად ქვეყნის საგარეო ვალი მოიცავს სახელმწიფო სექტორის (სამთავრობო და ფულად-საკრედიტო

ორგანიზაციების) და კერძო სექტორის (კომერციული სტრუქტურების, ფირმების, იურიდიული და ფიზიკური პირების, კორპორაციების). დავალიანებას. სულ სახელმწიფო ვალის სრული მოცულობა 6520,3 მლნ დოლარს შეადგენს:

საქართველოს საგარეო ვალები 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით[1]

	კრედიტორები	მლნ ლარებში	მლნ დოლარებში
№	სულ სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა	8.774.6	5.317.9
I	მრავალმხრივი კრედიტები	5730.2	3.472.8
1.	მსოფლიოს ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IBRD)	2.266.1	1.373.4
2.	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი	493.4	299.0
3.	ევროგაერთიანება (IBRD)	60.0	36.4
4.	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (EC)	49 7	30.1
5.	საერთაშორისო საკალატო ფონდი (IFAD)	1.843.1	1 117.0
6.	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (IMF)	18.6	11.3
7.	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (IBRD)	116.2	70.4
8.	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	580 6	351.9
9.	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	180 0	109 1
10	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIR)	122 5	74.2
II	ორმხრივი კრედიტები	1.238.0	750.3
1.	ავსტრია	–	–
2.	აზერბაიჯანი	24.5	14.8
3.	თურქმენეთი	0.4	0.2
4.	თურქეთი	46.8	28.4
5.	ირანი	19.1	11.6
6.	რუსეთი	201.1	121.9
7.	სომხეთი	29.0	17.8
8.	უზბეკეთი	0.6	0.4
9	უკრაინა	0.5	0.3
10.	ყაზახეთი	50.0	3.3
11.	ჩინეთი	7.9	4.8
12	გერმანია	540 9	327.8
13.	იაპონია	161.6	97.9
14.	ნიდერლანდები	11.6	7.0
15.	აშშ	60.7	36.8
16	საუდის არაბეთი	37 9	22.9
III	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	1.800.0	1.090.9
1.	ევრობონდები	1.800.0	1.090.9
IV	სახელმწიფო გარანტით აღებული ვალები	6.4	3.9
1.	გერმანია	6.4	3.9
V	სულ საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა	1983.8	1.202.3
1.	ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	560 8	339.9
2.	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის	117	70.9
3.	ე.წ. ისტორიული ვალები	674.1	408.5
4.	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სესხები	631.9	382 9
	სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა	10.758.4	6.520.3

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის საიტი www.epn.ge.

სამწუხაროდ, 2011 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის მიერ გაანგარიშებული ვალის ზღვრულ მოცულობაში არაა შეტანილი მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე საქართველოსთვის გამოყოფილი თანხის მთლიანი ოდენობა.

მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ ბრიუსელის დონორთა კონფერენციის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი თანხები[1]

№	კრედიტორი ორგანიზაციები და ქვეყნები	კრედიტის თანხები (მლნ დოლარებში)
1.	მსოფლიო ბანკი	1.7 (მლრდ)
2.	ევროკავშირი	1.0 (მლრდ)
3.	საერთაშორისო სავალუტო ფონდი	0.5 (მლრდ)
4.	ევროკომისია	0.2 (მლრდ)
5.	აშშ	1.0 (მლრდ)
6.	გერმანია	44 (მილიონი)
7.	საფრანგეთი	9 (მილიონი)
8.	უკრაინა	20 (მილიონი)
	სულ	4.473.0

აღნიშნული 4.5 მლრდ აშშ დოლარიდან კრედიტი შეადგენს 2 მილიარდს, გრანტი – 2.5 მლრდ აშშ დოლარს. აქ დასახელებული კრედიტორი ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან გამოყოფილ კრედიტებს (გარკვეულ ტრანშებს) საქართველო 2012 და 2013 წლებში მიიღებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2011 წლის 31 დეკემბრისთვის ნაკარაუდევ საგარეო დავალიანებას (6520.3 დოლარს). თუ დავუმატებთ 2.0 მლრდ აშშ დოლარს, მაშინ საქართველოს სახელმწიფოს ვალი შეადგენს 8 (რვა) მილიარდ 520.3 მილიონ აშშ დოლარს.

საქართველოს ხელისუფლება თავის სურვილების მიხედვით სისტემატურად ცვლის და „ალამაზებს“ რეალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რასაც ისინი მონაცემების თავსებადობის უზრუნველყოფის აუცილებლობით ამართლებენ, ფაქტობრივად კი მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენებით მათთვის სასარგებლო „კორექტირებას“ უკეთებენ სხვადასხვა პერიოდის მონაცემებს. ადრე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მსგავსი გაყალბებისათვის

[1] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის მონაცემები.

მკაცრად აკრიტიკებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და შესაბამისად მის სტატისტიკას „კოსმეტიკურს“ უწოდებდნენ, ახლა აღმოჩდა, რომ იგი ახლანდელთან შედარებით ნაკლებად შელამაზებული ყოფილა.

სამწუხაროდ სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული მთავრობის ოფიციალური მონაცემები არ ასრის რეალური და არ შეესაბამება სინამდვილეს. ამიტომ, ჩვენი საზოგადოება სრულიად სამართლიანადაა შეშფოთებული, რომ ხელისუფლება შეგნებულად ასაიდუმლოებს და გაუმჭვირვალეს ხდის ქვეყნის საგარეო და შიგა ვალების და ვალდებულებების მოცულობის რეალურ მონაცემებს. ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ანგარიშგებით მონაცემებში არ ჩანს–თანამეგობრობის ქვეყნებიდან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული გრანტები, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებები, სესხის მომსახურების (საპროცენტო თანხები), კერძო სტრუქტურების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული სესხები, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწეერიანებით წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებები, აგრეთვე სახელმწიფო შიგა ვალის რეალური მოცულობის შესახებ მონაცემები, რომელთა რაოდენობა არაოფიციალური გაანგარიშებებით 14-15 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს.

3. კერძო სტრუქტურების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული სესხები

ცნობილია, რომ ქვეყნის საგარეო დავალიანება განისაზღვრება არა მხოლოდ სახელმწიფო საგარეო ვალით (ან მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებებით), არამედ კერძო სტრუქტურების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული სესხებითაც. სამწუხაროდ, ეს სესხები საქართველოში ოფიციალური სტატისტიკური დაწესებულებების მიერ არ აღირიცხება და სათანადოდ არ კონტროლდება.

საქართველოში არასამთავრობო სესხებმა შემოსელა, ძირითადად, 1997 წლიდან დაიწყეს. მათ შორის აღსანიშნავია თბილისსა და ქუთაისში სატელეფონო სადგურების

დამონტაჟების სამუშაოების, ერთობლივი საწარმოებისათვის საბრუნავი სახსრების შექსების, კომერციული ბანკებისათვის საკრედიტო რესურსების გამოყოფის, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტების განხორციელების მიზნით გამოყოფილი კრედიტები. მათი რაოდენობა ათეულობით მლნ დოლარს შეადგენს.

კერძო სტრუქტურების მიერ მიღებული სესხების გამოყენების ეფექტიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტებისა. მეწარმეების პასუხისმგებლობა იზრდება მაშინ, როდესაც რისკი მთლიანად მათზეა გადანაწილებული და, პირიქით, ადგილი აქვს რესურსების გაფლანგვასა და არაეფექტიანად გამოყენებას, როდესაც სესხის დაბრუნების გარანტად დგას მთავრობა (ფინანსთა სამინისტრო), ან ეროვნული ბანკი.

მიუხედავად ამისა, კერძო არხებით საზღვარგარეთიდან სახსრების მოზიდვას წინდახედული მიდგომა ესაჭიროება. მისი უკონტროლოდ ზრდა სერიოზულ საფრთხეს მოასწავებს. უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან, როდესაც კერძო სექტორის დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტს დაეკისრა. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზღვავებას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები აქვს. ამ პროცესს სჭირდება რეგულირება და ქვეყნის სტრატეგიულ-პოლიტიკურ ინტერესებთან შეხამება.

4. მიღებული გრანტები, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებები

საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მნიშვნელოვანი თანხები მიიღო ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებების, გრანტებისა და სხვათა სახით. არაოფიციალური გაანგარიშებებით, მათი საერთო ღირებულება დაახლოებით 5 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება.

ეს დახმარებები მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენისთანა შეჭირვებული ქვეყნისთვის. აღნიშნული სახსრების გარეშე შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების დაძლევა, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ამ დახმარებების დიდი ნაწილი არამიზნობრივად და არაეფექტიანად იყო გამოყენებული.

აშკარად შეილძება ითქვას, რომ მიღებული დახმარებების აბსოლუტური უმრავლესობა არ ყოფილა გამოყენებული დანიშნულებისამებრ.

5. საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით ვარმოძძნილი ფინანსური ვალდებულებები

სერიოზული განხილვის თემაა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაცებში გაწევრიანებით წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებები. დღეისათვის საქართველო დაახლოებით ასამდე საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია, რაც ქვეყანას დიდ პატივთან ერთად საკმაოდ დიდ ფინანსურ ვალდებულებებსაც აკისრებს, საქართველოს ფინანსური ვალდებულებები ამ მიმართულებით წელიწადში 40.0 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს.

6. სახელმწიფოს შიგა ვალი და შემნახველი ბანკების დანგრეული სისტემა

საქართველოს სახელმწიფო შიგა ვალის ფორმირება, ძირითადად 1992-1994 წლებში მოხდა.

ამ პერიოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფორმალურად ითვალისწინებდა დამატებითი საკრედიტო რესურსების შექმნას და ქვეყანაში სასურსათო და სამრეწველო საქონლის შემოსიდვას. რეალურად კი ემსახურებოდა ხელისუფლების მაღალ ეშალონებში მოკალათებული პირებისა და მათთან დაკავშირებული „საქმიანი" წრეების გამდიდრებას.

ასეთი პოლიტიკის შედეგად დაიკარგა მოსახლეობის ანაბრები და საწარმო-დაწესებულებათა ფულადი სახსრები, რომლებიც მოექცა საზოგადოების მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში.

საქართველოს სახელმწიფო შიგა ვალად დღეს აღიარებულია ბანკის, კერძო სტრუქტურების, ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე დაგროვილი ვალდებულებები, რომლებიც ვერ გადაიხადა სახელმწიფომ.

არსებული გაანგარიშებით, საქართველოს შიგა ვალის მოცულობა 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 14 მილიარდ 977.4 მილიონ მანეთს უდრიდა. 1993 წლის აპრილში – კუპონის მანეთზე ერთი-ერთზე ჩანაცვლებით ვალები მექანიკურად კუპონით განაღდებას დაექვემდებარა.

ლარის მიმოქცევაში გამოშვების შემდეგ კი ვალების ღირებულება 1.000.000 კუპონი – 1 ლარი თანაფარდობით შეიცვალა. ამრიგად, საქართველოს მთავრობის მიერ ინდექსირებული შიდა ვალის მოცულობა შეადგენს 1.176.6 მლნ ლარს. მაგრამ ეს ციფრი არ ასახავს ვალის რეალურ მოცულობას, მასში არ შედის ისეთი პუნქტები, როგორიცაა: ლარის დევალვაციის გამო, საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოწვეული გაუნაღდებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღირებულება; სახელმწიფოს მიერ 1998-2000 წლებში მოქალაქეებისთვის გაუცემელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანება; სახაზინო ვალდებულებების ემისიითა და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების საორიენტაციო მოცულობა და სხვ.

სამწუხაროდ, საქართველოში შეუძლებელი გახდა ცალკეული პუნქტების მიხედვით შიგა ვალის თანხის ზუსტი ოდენობის დადგენა. მთავრობამ დღემდე ვერ შეძლო შიგა ვალის რეალური სტრუქტურის განსაზღვრა, კერძოდ, ვერ დაადგინა, თუ რა უნდა ჩაითვალოს შიგა ვალად და რა არა. მის მიერ განსაზღვრული საერთო ვალის რაოდენობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მოქალაქეთა მიერ 1985-1993 წლებში შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრების ნაშთი და ამაყე წლების მიხედვით ანაბრების ნაზარდი თანხები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საბანკო სისტემა იზოლირებული აღმოჩნდა ერთიანი საკავშირო საბანკო სისტემისგან. შეწყდა რუსეთიდან ნაღდი ფულის – მანეთის მოწოდება. საქართველო, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა, დარჩა მხოლოდ იმ ფულის ამარა, რომელიც იმ დროისთვის ქვეყანაში იყო მიმოქცევაში. ფულის ეს რაოდენობა მიმოქცევაში საჭირო რაოდენობასთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო, რადგან საქართველოს შემნახველ ბანკებში ირიცხებოდა მილიარდობით მანეთის ანაბარი, რომელიც მოსახლეობამ წლების განმავლობაში საკუთარი დანაზოგის სახით ანდო საბჭოთა საბანკო სისტემას. რუსეთმა საქართველოს შეუწყვიტა ფულადი ნიშნების მიწოდება, პრაქტიკულად მეანაბრეთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა ბანკიდან ფულადი ნაშთების გამოტანა. სწორედ ამის გამო დამოუკიდებელ საქართველოს საკუთარი ხალხის უზარმაზარი ვალი წარმოექმნა.

ბანკებში მოქალაქეთა ანგარიშებზე რიცხული თანხების საერთო მოცულობამ დაახლოებით 13 მილიარდი მანეთი შეადგინა. იმ დროს (ოფიციალური კურსით) 1 მანეთი 62.64 ცენტს შეადგენდა. თუ მაშინდელი კურსით 13 მლრდ მანეთს დოლარებში გადავიყვანთ, 8 მლრდ დოლარზე მეტს მივიღებთ.

1991-1992 წლებში დაიწყო მანეთის ინტენსიური გაუფასურების პროცესი. მოსახლეობა მასობრივად შეეცადა ანაბრებზე არსებული თანხების გამოტანას და მათ კონვერტაციას ამერიკულ დოლარებში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ფულადი ნიშნების უკმარისობის გამო.

1992 წლის ზაფხულში ეროვნულმა ბანკმა მთავრობაში შეიტანა წინადადება სახელმწიფო კომერციულ ბანკებში 1992 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრების ანგარიშზე მოთავსებული ფულადი სახსრების აფასების შესახებ.

სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს №14 დეკრეტის საფუძველზე სახელმწიფო კომერციულ ბანკებში 1992 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრებზე მოთავსებული 13 მლრდ მანეთი გაორკეცდა და მოსახლეობის მიერ შემნახველ კომერციულ ბანკებში 4535 ათას საანაბრო ანგარიშზე შეტანილმა თანხამ 27.250 მლნ მანეთი შეადგინა.

1993 წლის მარტიდან შემოღებული და მიმოქცევაში იქნა გაშვებული ეროვნული ვალუტის სუროგატი – კუპონი. 1993 წლის აგვისტოდან მოყოლებული კუპონის კურსი დღითიდღე ეცემოდა. 1995 წლის სექტემბერში დოლარის მიმართ კუპონის კურსი 2.5 მილიონს შეადგენდა.

ინფლაციის შეუჩერებელი პროცესი უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობის ანაბრებზე. ცითომდა მეანაბრეების ფულადი დანაზოგების გაუფასურებით მიყენებული ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, 1994 წლის 12 ივლისს ყოფილი შემნახველი სალაროების ბაზაზე დააფუძნეს საპაიო კომერციული ბანკი „გაერთიანებული ქართული ბანკი“, რომელსაც გადაერიცხა იმ დროისათვის ქვეყნის კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების ანგარიშზე არსებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამის შემდეგ მენაბრეები ანაბრების ძირითადი თანხისა და საპროცენტო დანარიცხების დაბრუნებას „გაერთიანებული ქართული ბანკისგან“ ითხოვდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ და ბანკმა უარი განაცხადეს მიბარებული თანხების დაბრუნებაზე.

ბანკსა და სახელმწიფოს შორის ასეთი უპრეცედენტო გარიგების შედეგად საქართველოში დაინგრა მთელ მსოფლიოში აპრობირებული შემნახველი ბანკების სისტემა, რომელთა ანგარიშებზე აკუმულირებული იყო ხალხის 13 მილიარდი მანეთი, ანუ დაახლოებით 8 მილიარდი ამერიკული დოლარი.

პრესის საშუალებით ბანკის მესვეურებმა აქციონერთა რიგებში დაასახელეს რამდენიმე მსხვილი საზღვარგარეთული საფინანსო გაერთიანება. გამოიყენეს ხელისუფლების წარმომადგენლები და ისინი ბანკის აქციონერები გახდნენ. ასე შეიყვანეს მეანაბრეები შეცდომაში. ყოველივე ეს დაემთხვა გარდამავალი ვალუტის (კუპონის) პერიოდს. ხალხმა თანხების დაკარგვას აქციონერობა ამჯობინა და მეანა-ბრეთა თითქმის 70% „აქციონერი“ გახდა.

„გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა“ ტოტალურად გააუქმა ქვეყანაში არსებული შემნახველი სალაროები და მათ ბალანსზე არსებული შენობები ჩალის ფასად შეისყიდა,

ამ შენობებში კი „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალები შექმნეს. ეს ფილიალები მათი კადრებით დააკომპლექტეს და სპეციალური მუშაკები აიყვანეს, რომელთა მოვალეობა მეანაბრეთა მოძებნა და მათთვის მოტყუებით მიზერული დივიდენდის – 7 ლარის გაცემა იყო. ისინი მეანაბრეებს ჟურნალებში აწერინებდნენ ხელს, მომავალში მეპაიეობაზე პრეტენზია რომ არ ჰქონოდათ.

აღნიშნული თანხები დამფუძნებლებმა ფარულად მიისაკუთრეს და თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს. ხოლო მეანაბრეები მათი თანხების გარეშე კომერციულ-შემნახველი ბანკების საწესდებო ფონდის ფიქტიურ მეპაიეებად გააფორმეს. ეს ყველაფერი აღინიშნა ფარატინა ქაღალდზე, უბრალო ქვითრებზე, რომლებიც მოტყუებულ მენაბრეებს დაურიგეს (მაშინ ყოფილ მეანაბრეებს უბრალო ქვითრები გადასცეს ამჟამად უკვე ბუნებაში არარსებულმა ბანკებმა: „თამარიონი“, „მედეა“, „სამეფო“, „ოპისარი“ და ა.შ.), ხოლო ახლა მათ, როგორც „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მეპაიე-აქციონერებს, თანამესაკუთრის დამადასტურებელი არაფითარი კანონიერი საბუთი არ გააჩნიათ. მეპაიეებს არ იცნობენ, არ ეძახიან და არც არაფერში სჭირდებათ. ეს მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევაა.

„ახალი ქართული ბანკის“ მესვეურებმა მოსახლეობისგან ნასესხებ თანხად აღიარეს მხოლოდ 5 მილიარდ 559 მილიონი კუპონი, რომელიც გადაიყვანეს დოლარებში (1 დოლარი – 814 ათასი კუპონი) და ამ გზით 6829 დოლარამდე შეამცირეს შემნახველ ბანკებში მოსახლეობის მიერ 1991 წლამდე შეტანილი 13 მილიარდი მანეთი, ანუ 8 მილიარდი აშშ დოლარი.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 1 ოქტომბრის №391 ბრძანებულებით, მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო კომისია ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსირების მექანიზმის შესამუშავებლად.

ამ მიმართულებით საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული:

გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა ანაბრების ინდექსირება მოახდინა მოსკოვის სავალუტო ბირჟის 1993 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით – აშშ დოლარისა და რუსული რუბლის თანაფარდობის (1:988) მიხედვით. აქედან გამომდინარე, თანხის მოცულობა შეადგენს 31.9 მილიონ აშშ დოლარს, ანუ 41.5 მილიონ ლარს, ხოლო საავალუტო ანაბრების ჩათვლით – 32.9 მილიონ აშშ დოლარს, ანუ 42.8 მილიონ ლარს.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მეთოდი გულისხმობს ანაბრებზე რიცხული თანხების (მანეთების) 1993 წლის აპრილიდან 1995 წლის აგვისტომდე დოლარის არსებულ კურსთან (1:767) შეფარდებას.

ამ მეთოდით გაანგარიშების საფუძველზე, ანაბრების ინდექსირებული თანხა (სერტიფიკატების ჩათვლით) უდრის 42.5 მილიონ აშშ დოლარს, ანუ 55.2 მილიონ ლარს. ხოლო საერთო ინდექსირებული თანხა საპროცენტო თანხების დარიცხვის შემდეგ შეადგენს დაახლოებით 70.6 მილიონ ლარს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის გათვლით, 1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით მოქალაქეთა ანაბრებზე არსებული თანხა შეადგენს 1.8 მილიონ ლარს.

დამოუკიდებელი არასამთავრობო საკონსულტაციო ორგანიზაციის „კონიუნქტურის კვლევის ცენტრის“ გათვლით (საბაზისოდ აღებულია 1993 წლის 1 აპრილი), მეანაბრეთა წინაშე სამთავრობო ვალდებულების მოცულობა განსაზღვრულია 5.034 მილიონი ლარით.

ასევე, მეტ-ნაკლებად ურთიერთდაახლოებული მოსაზრებებია გამოთქმული ინდექსირებული საანაბრო თანხების სარგებლის გადახდის ვადების, წესისა და პირობების შესახებ. მაგალითად, გაერთიანებული ქართული ბანკი, მოქალაქეთა ინდექსირებულ ანაბრებზე სარგებლის დარიცხვის წინააღმდეგია, ხოლო ეკონომიკის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს გაუცემელ ანაბრებზე საბანკო-საპროცენტო განაკვეთის დარიცხვას.

ფინანსთა სამინისტრომ 1997 წლის ბოლოსთვის შეიმუშავა მოსახლეობის მიერ ანაბრებზე შეტანილი თანხების განაღდების შემდეგი მექანიზმი:

1992 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე – 100 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე – 10 ლარი; 1992 წლის 1 იანვრიდან 1993 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე – 10 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე – 2 ლარი; 1993 წლის 1 იანვრიდან 1995 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე – 2 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე – 1 ლარი.

ვერაფითარ კრიტიკას ვერ უძლებს გაანგარიშების (ინდექსაციის) ასეთი მეთოდიკა. მაგალითად, როგორ უნდა აეხსნათ 1992 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე 100 ლარის, ხოლო დანარჩენ ყველა 1000 მანეთზე 10 ლარის ანაზღაურების დაწესების სამართლიანობა? რა „დააშავეს“ მომდევნო 1000-მა მანეთებმა? რატომ არ გაითვალისწინება, რომ 1992 წლის 1 იანვრამდე, ე.ი. 1991 წლის მანძილზე 1 დოლარი 6 მანეთს უდრიდა?

მთავრობის გადაწყვეტილებით, მეანაბრეებისთვის 1997-1998 წლების ბიუჯეტით 10 მილიონი ლარი, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტით 0.4 მილიონი ლარის გაცემა იყო გათვალისწინებული, მაგრამ დღემდე ამ დანიშნულებით არც ერთი თეთრი არ გაცემულა. ეს ფაქტი უარყოფით პრეცედენტს ქმნის და აძლიერებს მთავრობისადმი მოსახლეობის უნდობლობას.

განხილული პუნქტების მიხედვით, საქართველოს შიგა ვალის მოცულობა ჯერაც არის სწორად დაანგარიშებული. სინამდვილეში, შიგა ვალის მოცულობა გაცილებით მეტია. როგორც ამას არაოფიციალური გაანგარიშებები მოწმობს, მისი ოდენობა დაახლოებით 34 მილიონ 595 ათას ლარს შეადგენს.

ჩვენი აზრით, აუცილებელია, შეიქმნას კომპეტენტური სახელმწიფო კომისია და შემუშავდეს ინდექსაციის ახალი მექანიზმი. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მანეთის გაუფასურებამდე სახელმწიფოს მიერ მოსახლეობასთან წარმოქმნილ ვალდებულებებს: კერძოდ, ანაბრების, პოსტსაბჭოთა პირობებში გამოშვებული

სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაციების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, სახელმწიფო ლატარეაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანებებისა და სახელმწიფოს მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობებისათვის აღებული ვალდებულებების რეალურ და კეთილსინდისიერ განაღდებას. რამდენადაც, თანხები შეტანილია როგორც გაუფასურებული კუპონით და რუსული რუბლებით, ასევე (ძირითადად), მყარი სავალუტო კურსისა და მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე საბჭოთა მანეთებით, ამიტომ საანაბრო თანხების ინდექსირება (აღდგენა) უნდა მოხდეს დიფერენცირებულად, მათი შეტანისა და გადახდის ვადების გათვალისწინებით.

რეალური ინდექსირებისთვის საჭიროა მიღებულ თანხებს დავუმატოთ წლების მიხედვით სარგებლის ნაზარდი თანხები და შეჯამებული თანხები გადავიყვანოთ დოლარებში შემდეგი კურსის მიხედვით:

1985-1988 წწ.–0.66 მანეთი – 1 დოლარი; 1989 წ. – 1 მანეთი – 1 დოლარი; 1990 წ. – 2 მანეთი – 1 დოლარი; 1991 წ. – 6 მანეთი – 1 დოლარი; 1992 წ. – 191 მანეთი – 1 დოლარი; 1993 წ. – 751 მანეთი – 1 დოლარი.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო ვალის დეპარტამენტმა ვერ შეძლო შიგა ვალის ზუსტი ინვენტარიზაცია, როგორც მთლიანი თანხის, ასევე, ვალის ცალკეული მუხლების მიხედვით. ამჟამად შეუძლებელია შიგა ვალზე, როგორც ერთიან რეალურ თანხაზე მსჯელობა. წარმოდგენილი გაანგარიშება არარეალურია და, რაც მთავარია, იგი ვერ გამოხატავს მოსახლეობის ინტერესებს. მაშასადამე, ახლა მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიერ სახელმწიფო და კომერციულ ბანკებში შეტანილი, ინფლაციის შედეგად გაუფასურებული ანაბრების აღდგენისა და ანაზღაურების საკითხის მოგვარება.

ამ პრობლემის გადაწყვეტას აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მოსახლეობას უნდა აუნაზღაურდეს ინფლაციის შედეგად მიყენებული ფინანსური ზარალი და აღდგეს მოსახლეობასა და საბანკო სისტემას შორის წარმოქმნილი უნდობლობა.

ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით (1995 წლის 25 სექტემბერი) კუპონის ლარზე (და მანამდე – მანეთის კუპონზე) გადასაანგარიშებლად დადგენილმა თანაფარდობამ სათანადოდ ვერ განსაზღვრა მოსახლების მიერ ბანკებში საბჭოთა მანეთებით შეტანილი ანაბრების გაუფასურების დონე, რის შედეგადაც ანაბრებზე რიცხული, მოქალაქეთა კუთვნილი მანეთი პირდაპირ კუპონად გადაიქცა.

ჩვენი აზრით, ამ საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა უნდა მდგომარეობდეს არა ამ ანაბრების მოცულობის ხელოვნურად მნიშვნელოვან შემცირებაში, არამედ ამ ვალის მაქსიმალური სიზუსტით აღდგენასა და დანაზოგების გარანტირებული დაცვის უზრუნველყოფაში, ასევე, მისი განაღდების ოპტიმალური ვადების განსაზღვრაში სახელმწიფოს ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

იგივე მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული სსრ კავშირის „საგარეო ეკონომიკური ბანკის", სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის" და რუსეთის ცენტრალური ბანკების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი თანხების ბლოკირების შედეგად, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ ბინათმშენებლობისათვის მოქალაქეთა მიერ შეტანილი თანხების მიმართ, ასევე, სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციებისა და ლატარიის გათამაშებიდან მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით გამოწვეული დაკარგვების გაანგარიშების დროს.

მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ანაზღაურება (გასტუმრება) უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ანაზღაურების პერიოდად შეიძლება განისაზღვროს 20-30 წელი;

აღდგენილი დანაზოგების დაცვა გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფო კანონმდებლობით. ამისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პარლამენტმა მიიღოს კანონი მოსახლეობის გაუფასურებული ფულადი ანაბრების აღდგენის, დაცვისა და ანაზღაურების შესახებ.

7. სახელმწიფოსთვის რომელი ვალია უფრო მძიმე - საბარეო თუ შიგა ვალი?

პოპულარული თვალსაზრისით, ვალი (როგორც შიგა, ისე საგარეო) ტვირთია და ართულებს ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას. გარკვეული მოსაზრების თანახმად, შიგა ვალი ქვეყნისთვის ნაკლები ტვირთია საგარეოსთან შედარებით. შიგა ვალი შეიძლება განხილული იქნას, როგორც ვალი, რომლის დაფარვის დროს ქვეყანაში შექმნილი პროდუქციის გატანა არ ხდება (სარგებლის თანხის ან ვალის ძირითადი ნაწილის სახით). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ შიგა ვალი საშიში არ არის. ამასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა მზარდმა შიგა ვალმა რაღაც მომენტში კრახამდე მიიყვანოს ერი, სახელმწიფომ დაკარგოს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის უნარი და ქვეყანა გაკოტრდეს? პასუხი ცალსახაა: არა, რადგან სახელმწიფოს აქვს: ა) შიგა სესხის რეფინანსირების; ბ) გადასახადების განაკვეთების გადიდების და გ) საჭიროზე მეტი რაოდენობის ფულის მასის დაბეჭდვისა და მიმოქცევაში გადასროლის შესაძლებლობა.

ა) ვალის რეფინანსირება. როგორც კი დადგება შიგა ვალის რაღაც ნაწილის გადახდის წინასწარ განსაზღვრული ვადა, მთავრობა ვადადამდგარი ობლიგაციების დასაფარავი სახსრების მისაღებად მოახდენს მხოლოდ ვალის რეფინანსირებას, ე.ი. დაბეჭდავს და გაავრცელებს ახალ ობლიგაციებს და დამატებით მიღებული თანხებით დაფარავს ადრე გაცემული სესხის ობლიგაციების მფლობელთათვის გასაცემ ვალდებულებებს;

ბ) გადასახადების განაკვეთების გადიდება. სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია გადასახადების გადიდება (თუ ეს იქ კონკრეტულ პირობებში მისაღებია). აღნიშნული ღონისძიება გამოიყენება შემოსავლების, სახელმწიფო ვალის ნაწილისა და სარგებლობის თანხის გადასახდელად;

გ) საჭიროზე მეტი რაოდენობის ფულის დაბეჭდვა და მიმოქცევაში გაშვება. საჭიროზე მეტი რაოდენობის ფულის მასის დაბეჭდვისა და მიმოქცევაში გადასროლის გზით

სახელმწიფო იხდის შიგა ვალის ძირითად თანხასაც და სესხის სარგებელსაც. ამას შეიძლება მოჰყვეს საინფლაციო ეფექტი, მაგრამ ეს საშიში არ არის.

საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო იყენებს ერთ, ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებას.

ამდენად, სახელმწიფო შიგა ვალის აღება ნებისმიერ ქვეყანას არანაირ საშიშროებას არ უქმნის. არც საგარეო ვალი უქმნის საშიშროებას ქვეყანას, თუ მთლიანი ეროვნული პროდუქტი იზრდება სწრაფად, ვიდრე ვალი. თუ ვალის ზრდას თან არ ახლავს ეკონომიკური ზრდა, შიგა (და მით უმეტეს, საგარეო) ვალის ხარჯზე ბიუჯეტის დაბალანსების ყოველგვარი მცდელობა ბოლოს და ბოლოს კრახით მთავრდება.

ამრიგად, თუ ეკონომიკის ზრდის ტემპები აღემატება ვალების ზრდის ტემპებს, სახელმწიფო შიგა ვალი არ წარმოადგენს ეკონომიკური ტვირთის სიმძიმის ერთი თაობიდან მეორეზე გადაკისრების საშუალებას.

ეს დამაიმედებელი მოტივები სრულიადაც არ ნიშნავს შიგა სახელმწიფო ვალის გამართლებას. მისი არსებობა ნამდვილად აყენებს ზოგიერთ რეალურ და პოტენციურ პრობლემას.

როცა შიგა ვალით ვერ მიიღწევა სასურველი შედეგები, ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკური არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად მთავრობები საგარეო სესხებს მიმართავენ.

უცხოური კრედიტები ქვეყანას საშუალებას აძლევს, მოიხმაროს ან დააბანდოს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ამას შიგა ვალით შეძლებდა: ე.ი. საგარეო ვალი, მისი მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ ქვეყნის ეკონომიკაში არასასურველი შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში შექმნილი პროდუქციის მეტი ნაწილის გატანა ხდება უცხო ქვეყნების ვალის დასაფარავად.

მაშასადამე, საგარეო ვალის აღება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას და აქედან გამომდინარე სწრაფად იზრდება ექსპორტიდან შემოსავალი – ეს უზრუნველყოფს ქვეყანაში საკმარისი

რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოსავალს, რის ხარჯზეც უნდა დაიფაროს მუდმივად მ'ზარდი საგარეო ვალის საპროცენტო (მომსახურების) გადასახდელები და ძირითადი თანხა. მაგრამ, თუ საგარეო ვალის მომსახურებისთვის გადასახდელები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე შემოსავალი უცხოურ ვალუტაში, მაშინ წარმოიქმნება საგადამხდელო ბალანსისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემები.

ამდენად, თუ ქვეყანაში არ ხდება ეკონომიკური ზრდა (და, შესაბამისად, ექსპორტიდან შემოსავლების ზრდა), საგადასახდელო ბალანსისა და ბიუჯეტის დეფიციტი ყველა უარყოფითი შედეგით კიდევ უფრო ძლიერდება.

8. იყო თუ არა გამართლებული ხუთასმილიონიანი ევრობონდის გამოშვება?

2008 წლის მაისში საქართველომ 500-მილიონიანი ევრობონდი (ევროობლიგაცია) გამოუშვა; ამის სანაცვლოდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საქართველოს 2013 წლისთვის დასაფარი ვალის გადახდა 2021 წლამდე გადაუვადეს.

ვალის გადახდის გადავადება რომ კარგია, ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გადავადება კელავ ვალის აღების ხარჯზე და ისიც 6.9%-იანი განაკვეთით გადახდის პირობით, გონივრული გადაწყვეტილება რომ არ არის, ეს უდავოა.

მთავრობამ სესხის აღების შემდეგ დაიწყო ფიქრი, რისთვის უნდა გამოეყენებია ეს სესხი. იყო სხვადასხვა მოსაზრება, რომ ამ თანხებით კახეთის რეგიონში გაკეთებულიყო გაზსაცავი, ან აშენებულიყო მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები. ბოლოს გადაწყდა, რომ ნასესხები ფული ჩადებულიყო მომავლისა და განვითარების ფონდებში, მაგრამ დაიწყო რუსეთთან ომი და მთლიანად შეიცვალა ამ თანხის გამოყენების მიზნობრიობა.

ჩვენი აზრით, ეს მთავრობის სერიოზული შეცდომა იყო, 2008 წელს სესხის აღების არანაირი გადაუდებელი საჭიროება არ არსებობდა. საქართველოს 2013 წელს

კრედიტორებისთვის უნდა დაებრუნებია სხვადასხვა დროს აღებული დაახლოებით 1.800.0 მილიონი ლარი. იმ პირობებში, როცა ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალი 6-7 მილიარდი ლარია, ამ თანხის გადახდა პრაქტიკულად მართლაც ძნელი იქნებოდა. ამდენად, 2013 წლისთვის ძველი დავალიანების დასაფარავად ახალი ვალის აღება მართლაც იყო შესაძლებელი, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ მთავრობამ ვალი 4 წლით ადრე აიღო და არ იქნა გათვალისწინებული მისი მძიმე შედეგები: საქართველოს 10 წლის შემდეგ ძირითადი ვალის 500 მლნ აშშ დოლარის გადახდასთან ერთად (წლიური 34.5 მლნ სარგებლის გადახდის კვალობაზე) 845 მლნ აშშ დოლარის გადახდა მოუწევს.

ხელისუფლების განმარტებით, ვალად აღებული 500 მილიონი აშშ დოლარი დევნილებისთვის განხორციელებულ ჰუმანიტარულ ღონისძიებებს მოხმარდა, რაც ნაკლებად სარწმუნოა. როგორც ჩანს, ეს თანხა ომის შემდეგ ქვეყნის საბიუჯეტო პრობლემების მოგვარებისათვის გამოიყენეს.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გეორგიუს პაპანდრეუმ ევროგაერთიანების ქვეყნების მიერ საბერძნეთისთვის გამოყოფილი (8 მილიარდი ევროს) ფინანსური დახმარების მიღება-არმიღების შესახებ ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო – საბერძნეთს ევროკავშირისგან მიეღო ეს დახმარება თუ ქვეყანაში მძვინვარე კრიზისი საბიუჯეტო ეკონომიის გზით დაეძლია. რეფერენდუმმა პაპანდრეუს წინადადება არ მიიღო. მან თანამდებობა დატოვა. უმოკლეს დროში გაირკვევა, რომ პაპანდრეუ მართალი იყო.

9. რაზე მიგვანიშნებს საგარეო დავალიანების სიმძიმის განმსაზღვრელი კრიტერიუმები?

დღეს, საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლების განხილვისას, ლოგიკურად იბადება კითხვა, თუ რამდენად დიდია სავალო კრიზისის საშიშროება და, შესაბამისად, როგორია მისი დაძლევის რეალური შესაძლებლობანი.

ჩვეულებრივ, საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასებისთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ქვეყნის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდუნარიანობის დადგენა.

გადახდისუნარიანობაში იგულისხმება დებიტორი ქვეყნის უნარი და შესაძლებლობა აღებული სესხის მაღალეფექტიანი გამოყენებით რამდენად უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ და სტაბილურ ტემპს, რაზეც უშუალოდ დამოკიდებულია საგარეო ვალის დროული გადახდა. ეკონომიკური ზრდის დასადგენად გამოიყენება მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და მთლიანი შიგა პროდუქტის წარმოების მაჩვენებლები. ორივე ეს ინდიკატორი ნათელ წარმოდგენას იძლევა ეკონომიკური ზრდის ტენდენციის შესახებ, გადახდისუნარიანობის რეგულირების მოდელირების ძირითადი თავისებურებაა ის, რომ მისი გამოყენების შედეგად შესაძლებელი ხდება „გადახდისუნარიანობის დაკარგვის ფაქტის" დაფიქსირება, ანუ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის „კრიტიკულ" ნიშნულს ქვემოთ გადაადგილება, რაც გვაძლევს კრიზისის დაწყების სიგნალს.

რაც შეეხება ლიკვიდუნარიანობას, მასში იგულისხმება განსაზღვრული პერიოდის შემდეგ (ვალების დაფარვის დადგენილი ვადებისთვის) საკმარისი ფულადი სახსრების (შემოსულობათა) არსებობა ქვეყანაში, რათა მან დროულად დაფაროს მიმდინარე საგალო ვალდებულებები. ლიკვიდუნარიანობის შეფასება ხდება საგარეო ვალის მიმდინარე გადასახდელების სიდიდესა და ქვეყანაში არსებული ლიკვიდური სახსრების (საექსპორტო შემოსავლების, ოქროსა და უცხოური ვალუტების რეზერვების, საბიუჯეტო შემოსავლების და სხვ.) მოცულობას შორის შეფარდების გზით.

თანამედროვე პირობებში გამოიყენება 25-30 და მეტი მაჩვენებელი. აღნიშნულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მისი სავალუტო და ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა პარამეტრი: მეპ-ის ან მშპ-ის მოცულობა და მათი ზრდის ტემპი, საექსპორტო ფასების დინამიკა, ოქროსა და უცხოური ვალუტის დავალიანების

დაფარვის შესაძლებლობა, საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა, საგარეო ვალის მოცულობისა და მასზე გადასახდელების ზრდის ტემპი, ვალის მომსახურების ნორმა ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ–თან და სხვ.

ყველაზე გავრცელებულია საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასების განმსაზღვრელი შემდეგი ე.წ. სტანდარტული კრიტერიუმები:

ა) რა სახისაა იგი – სახელმწიფო შიგა ვალია თუ სახელმწიფო საგარეო ვალი;

ბ) როგორია სახელმწიფო ვალის საპროცენტო განაკვეთი – მაღალი თუ დაბალი;

გ) ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპი (მთლიანი ეროვნული პროდუქტის ან მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი);

დ) საგარეო ვალის მოცულობის შეფარდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის ან მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობასთან;

ე) საგარეო ვალის მომსახურებისთვის (საპროცენტო განაკვეთის) გადასახდელი თანხის შეფარდება ბიუჯეტის შემოსავლებთან;

ვ) საგარეო ვალის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხის შეფარდება წლიური ექსპორტის მოცულობასთან.

საგარეო ვალის და მისი მომსახურების შესახებ ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია სავალუტო რეზერვების ყოველდღიური მართვისთვის. აგრეგირებულ საფეხურზე კი იგი საჭიროა უცხოური ვალუტის მიმდინარე მოთხოვნების შესაფასებლად, ვალის მომსახურებისთვის გადასახდელების დასაგეგმად, აგრეთვე, ახალი უცხოური სესხების მოზიდვის განსაზღვრისთვის და საგარეო რისკების გასაწევად.

სახელმწიფო ვალის განსაკუთრებულ სიმძიმეზე მიუთითებს: მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულება (უცვლელ ფასებში) რაც 2003 წლის 6617.3 მლნ ლარიდან 2010 წლისთვის 20.7434 ლარამდე, ანუ 3.2-ჯერ გაიზარდა. საგარეო ვალის მოცულობა 2003 წლის 1774.6 მლნ დოლარიდან 2011 წლისთვის 8520.3 მლნ დოლარამდე, ანუ 4.8-ჯერ გადიდდა.

ამასთან, საქართველოში მშპ-ის ზრდის ტემპი მკვეთრად მერყეობს და მეტისმეტად დაბალია. იგი შეადგენდა 2003 წელს – 11.1; 2004 წელს – 5.9; 2005 წელს – 9.6; 2006 წელს – 9.4; 2007 წელს – 12; 2008 წელს – 2.3; 2009 წელს–3.8%; 2010 წელს 6.0; ხოლო 2011 წელს–7.0 პროცენტს. ასეთი მატებით თუნდაც 1990 წლის დონეს რომ მიეაღწიოთ, სულ ცოტა 20–25 წელი დაგჭირდება.

მაშასადამე: ა) საქართველოში აღგილი აქვს მეტად არასასურველ ტენდენციას – საგარეო ვალის ზრდის ტემპი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქვეყნის შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი. 2021 წლისთვის ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტთან შეფარდებით საგარეო ვალების მოცულობა გაციდებით მეტი იქნება.

ბ) ამავე პერიოდში საქართველოში საგარეო ვალის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე 2500 დოლარს გადააჭარბებს, ხოლო შიგა ვალი – 400 ლარს, რაც ისეთი მცირებიუჯეტიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმაოდ დიდ ტვირთს წარმოადგენს. საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო ვალის მოცულობით პირველი ადგილი უკავია. ამ მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ თურქმენეთს (75 დოლარი), სომხეთსა (152 დოლარი) და მოლდოვას (167 დოლარი).

გ) საგარეო ვალის ძირითადი თანხისა და სარგებლის გადასახდელები ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტის გასავლების სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება, ამიტომ საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი სახელმწიფო ვალი ეკონომიკურ პრობლემათა ცენტრშია;

დ) საგარეო ვალის მთლიანი თანხის თანაფარდობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან (კრიტიკულ ზღვარს შეადგენს 275%) 560%-ს უდრის, რაც კრიტიკულ ზღვარს დიდად აღემატება. საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის ზრდის ტემპს, ექსპორტის წილი მთლიან ბრუნვასთან 23.7 პროცენტს შეადგენს. ხოლო კრედიტზე გადახდილი საპროცენტო თანხა

აჭარბებს ექსპორტის ზრდის ტემპს. საექსპორტო კვოტა (ქვეყნის ექსპორტის შეფარდება მთლიან შიგა პროდუქტთან) ჯერ კიდევ დაბალია და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირურთიერთობის ცირო მასშტაბებზე;

ე) საგარეო ვალის მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის სავალუტო რეზერვებთან კატასტროფულად გაიზარდა და 2500%-ს გადააჭარბა;

ვ) სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ძირითადი ვალის ზრდასთან ერთად იზრდება სარგებლის გადასახდელების თანხა. 2021 წლიდან საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველკვარტალურად გადასახდელი ექნება ასეულ მილიონობით ლარი საგარეო სესხების ძირითადი თანხისა და მასზე სარგებლის თანხის დასაფარავად.

ამრიგად, საგარეო ვალების მომსახურების საკითხი სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი.

უცხოური კრედიტებისა და დახმარებების, აგრეთვე, შიგა ვალის, არაეფექტიანი და სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელი ხარჯვა საზოგადოების საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. ეს სფერო განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ელიტური კორუფციის ერთ-ერთ ძირითად ასპექტად არის მიჩნეული.

ამასთან, ყოველწლიურად იზრდება სამთავრობო ხარჯები, რაც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. სახსრები ძირითადად ხმარდება ტრანსფერებს, პოლიციის შენახვას, საზღვარგარეთ უშედეგო მოგზაურობებს, ლარის კურსის განმტკიცებას და ა.შ. რაც მთავარია, აღებული სესხები არ გამოიყენება წარმოების შემდგომი გამოცოცხლებისა და განვითარებისთვის.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს საზოგადოებაში სრულიად სამართლიანად მუსირებს აზრი, რომ საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და მსოფლიოს

თანამეგობრობის ქვეყნებისგან (სესხის, გრანტის, დახმარებისა და მხარდაჭერის სახით), ათეული მილიარდობით დოლარი აქვს მიღებული, რომელსაც ნამდვილად შეეძლო ეკონომიკური სტარტერის როლის შესრულება.

მათი აზრით, მეორე ასეთი ისტორიული შანსი (მომენტი) შეიძლება ათასწლეულების განმავლობაში არ მოგეცეს და შეშფოთებულები კითხულობენ „სად არის ახლა ის დოლარები და მხარდაჭერა? რა გვიჭირავს ხელში დღეს უზომოდ გაზრდილი საგარეო ვალის და აბსოლუტურად კოშმარული სავაჭრო ბალანსის გარდა?".

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი გაიფლანგა. მისი მნიშვნელოვანი ოდენობა მოხმარდა სურსათისა და მედიკამენტების იმპორტს, მოსახლეობისთვის ბუნებრივი გაზისა და საწვავის შეძენას, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული კრედიტები გამოყენებულ იქნა ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისთვის.

თუ სამთავრობო ხარჯების გადიდება ისეთი მიმართულებით განხორციელდება, როგორიცაა სუბსიდიები პარლამენტისა და მთავრობის სახელმწიფო მომსახურებისთვის ლიმუზინების,მერსედესების,ჯიპებისა და ა.შ. შესაძენად,მაშინ ვალის აღების სიმძიმე ნამდვილად დაეკისრება მომავალ თაობას. მაგრამ, თუ სამთავრობო ხარჯები მომავლისთვის მაინც გამოყენებული იქნება მატერიალური წარმოების სფეროს გაფართოებისთვის, ეს ღონისძიებები განამტკიცებს ეკონომიკის საწარმოო პოტენციალს, აამუშავებს საწარმოო სიმძლავრეებს, მიიღწევა სრული დასაქმება და გაიზრდება მეპ-ის მოცულობა. ამ შემთხვევაში საგარეო ვალი საერთაშორისო-სახელმწიფოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს.

10. „ნულოვანი ვარიანტი": გონივრული გადაწყვეტილება თუ შეცდომა?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო ნორმებისა და „სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო

აქტივებისა და სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ" ვენის კონვენციის დებულების შესაბამისად, შედგა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის ნუსხა. 1991 წლის 4 დეკემბერს გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა ქონებრივ მემკვიდრეობაში ე.წ. მოძმე რესპუბლიკების წილი. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს წილიც, როგორც არსებულ ქონებაში და გაცემულ სესხებში, ისე მის მიმართ ვალებში (აქტივებსა და პასივებში) 1.62%-ის ოდენობით. რუსეთის წილი განისაზღვრა 61.34%-ით.

თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წილი გაანგარიშებულ იქნა აგრეგირებული კრიტერიუმების გამოყენებით, რასაც საფუძვლად დაედო ისეთი მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზი, როგორიცაა 1986-1990 წლებში თითოეულის ხვედრითი წილი საბჭოთა კავშირის ექსპორტში, იმპორტში, წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობასა და მოსახლეობის რიცხვიანობაში.

საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ისე, როგორც სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს, საქართველოსაც შესაბამისი წილი უნდა მიეღო:

ა) საზღვარგარეთ არსებული ყოფილი სსრ კავშირის უძრავ-მოძრავი ქონებიდან;

ბ) ოქროს ფონდიდან და სავალუტო რეზერვებიდან;

გ) საზღვარგარეთ არსებული ინვესტიციებიდან;

დ) ალმასის ფონდიდან.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ, 1991 წლის 4 დეკემბრის შეთანხმებით აღნიშნული ქონება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უნდა განაწილებულიყო, მაგრამ 1993 წლის 14 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას „მოკავშირე რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედარაციას შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და საგარეო სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის საკითხების რეგულირების შესახებ". ამ დოკუმენტის მიხედვით, რუსეთმა იკისრა სსრკ-ის მთელი საგარეო დავალიანების გადახდა.

სამაგიეროდ, მოკავშირე რესპუბლიკებმა დათმეს საზღვარგარეთ არსებული სსკ-ის აქტივები. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საქართველოს წარმომადგენელმაც, მაგრამ შემდგომში აღნიშნული შეთანხმების (ნულოვანი ვარიანტის) რატიფიცირება არ მოუხდენია მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს. დანარჩენმა რესპუბლიკებმა „ნულოვან ვარიანტს“ ხელი მოაწერეს.

საქართველოს მაშინდელმა პრემიერმა მოსკოვიდან თბილისში ჩამოიტანა დოკუმენტი, რომლითაც უარი ითქვა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქონებაზე, არამედ საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა კუთვნილ ანაბრებზეც „ვნეშეკონომბანკში“. როგორც მოგვიანებით გაირკვა, საქართველოს პრემიერმა ერთი დოკუმენტი წაიკითხა, ხელი კი მეორეს მოაწერა. უფრო სწორად, შეთანხმებული ვარიანტის დედანი ქართულმა მხარემ დაკარგა, ხოლო, რომელიც დარჩა, სწორედ ის აღმოჩნდა სასარგებლო რუსეთისთვის. შვიდი წლის განმავლობაში თვით პარლამენტშიც კი ეგონათ, რომ ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციაც ყოველწლიურად ხდებოდა, თურმე ანაბრების შესახებ პუნქტს არ შეიცავდა.

საბოლოოდ, ექსპერტთა შეფასებით, რატიფიკაცია გაუკეთდა დოკუმენტს, რომელიც, პრაქტიკულად, ბუნებაში არ არსებობდა. ქართულმა მხარემ პარაფირებული ვარიანტი დაკარგა, რუსებს არ დაუკარგავთ, მაგრამ ცხადია, არ გამოაჩინეს და საქართველოს შედარების იურიდიული საფუძველი მოუსპეს.

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ არსებობს 1969 წლის ვენის კონვენცია. ამ კონვენციის 49-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულება ორ მხარეს შორის ერთ-ერთი მხარის მოტყუების საფუძველზე დაიდო, მეორე მხარეს უფლება აქვს მისი ბათილად ცნობა მოითხოვოს. ამ შემთხვევაში „ნულოვანი ვარიანტის“ პარაფირებისას, პრაქტიკულად, რუსულმა მხარემ მოატყუა საქართველოს ხელისუფლება. საქართველოს პრემიერს ხელმოწერის ცერემონიაზე შეცვლილი ტექსტი შეაპარეს. ცხადია, პრემიერ-

მინისტრს ხელმოწერის ცერემონიაზე ტექსტის წაკითხვისა და მისი აუთენტურობის შემოწმების საშუალება არ ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი დაკარგული იყო, საქართველოს პარლამენტმა მას რატიფიცირება გაუკეთა 7 წლის შემდეგ და ამით საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა თავის წილ აქტივებზე საბჭოთა კავშირის ქონებიდან. მას პირველ რიგში შეეწირა საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი ანაბრები.

„ვნეშეკონომბანკში“ საქართველოს მოქალაქეების ანაბრების საერთო რაოდენობა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირების მომენტში 50 მლნ დოლარს აღემატებოდა, ხოლო სსრ კავშირის აქტივებისა და პასივების დადებითი სალდო ყველაზე მოკრძალებული ეკონომიკური გათვლებით 400 მილიარდამდე დოლარს უტოლდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტის ასეთი უგუნური გადაწყვეტილებით საქართველო დაემშვიდობა საბჭოთ კავშირის ქონებიდან და ვალდებულებებიდან კუთვნილ წილს 1.62%-ის ოდენობით.

საბოლოოდ, გაურკვეველი დარჩა, ვინ და რატომ დაკარგა „ნულოვანი ვარიანტის“ როგორც დედანი, ისე პარაფირებული ტექსტი, რომლის ასლებიც ოთხ სახელმწიფო უწყებაში ინახებოდა და რომლის შენახვაზე, შესაბამისად, პასუხისმგებელი პირებიც არსებობდნენ.

მოვლენების მსვლელობა ასეთი იყო: 1991 წლის ბოლოს მოსკოვში, სასტუმრო „პრეზიდენტჰოტელში“ (ყოფილი „ოქტიაბრსკაია“) თორმეტი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მთავრობების მეთაურები შეიკრიბნენ (ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკამ საბჭოეთის სამართალმემკვიდრეობაზე უარი თავიდანვე თქვა).

რუსეთის სასარგებლოდ აქტივებისა და ვალების დათმობის შეთანხმებას, იგივე „ნულოვან ვარიანტს“, ხელი ათი რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურებმა მოაწერეს. მათ შორის არ იყვნენ უკრაინის პრემიერ-მინისტრი და საქართველოს წარმომადგენელი.

მოგვიანებით, როცა საქართველომ რუსეთთან „ნულოვანი ვარიანტის“ შეთანხმების გადაწყვეტილება მიიღო,

რუსეთმა საქართველოს წამოუყენა ულტიმატუმი – ან (საქართველოს რუსეთისადმი) ვალების დაუყოვნებლივ გადახდა, ან „ნულოვან ვარიანტზე“ ხელის მოწერა.

საქართველოს ექსპერტთა პირველი ჯგუფი მოსკოვში 1993 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა. ექსპერტებმა თავდაპირველი ვარიანტის ტექსტში ქართული მხარისთვის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის დაფიქსირება მოახერხეს. მათ შორის იყო „ენეშეკონომბანკში“ დაგროვილი ანაბრების გადმოცემა საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის და მოლაპარაკებების დაწყება ალმასის ფონდის გაყოფაზე. მომდევნო ჯგუფში, რომელმაც პრემიერის ხელმძღვანელობით საბოლოო ვარიანტი შეიმუშავა, საქართველოს საგარეო უწყების არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა. თუ რატომ, ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია და ამას არც არავინ იძიებს.

თუმცა საინტერესოა ერთი დეტალი: თბილისში დაბრუნებულ პრემიერმინისტრს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური წერილით აცნობა, რომ რუსულმა მხარემ პირობა დაარღვია და შეთანხმება უკვე აღარ შეესაბამება ექსპერტთა მიერ პარაფირებულ ტექსტს. წერილს თან ახლდა პარაფირებული დედნის ასლი, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო, საქართველოს მთავრობას დამატებითი კონსულტაციები არ მოუთხოვია.

ყბადაღებული „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციას წინ ხანგრძლივი დებატები უძღოდა. მომხრეთა მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციის გარეშე რუსეთი ვალის გადავადების წინააღმდეგი იქნებოდა. იმ პერიოდში იწურებოდა შეღავათების 3-წლიანი პერიოდი და ხელისუფლება რუსეთის 179-მილიონიანი ვალის სამომავლოდ გადადების გზებს ეძებდა.

1995 წლის 30 ნოემბერს რუსეთის მხარემ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტით აცნობა, რომ მან დაამთავრა ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული შიგა სახელმწიფო პროცედურები და საქართველოს პარლამენტის მიერ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება მოითხოვა.

სამწუხაროდ, საქართველოს არ აღმოაჩნდა სსრკ-ის აქტივებისა და პასივების ზუსტი რაოდენობის შესახებ რუსეთთან შეჯერებული ოფიციალური მონაცემები.

1) საზღვარგარეთ სსრკ-ის უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება, კანადის სააგენტო პინკერტონის მონაცემებით, 300-400 მლრდ დოლარს შეადგენდა; ხოლო რუსეთის საანგარიშო პალატის მიერ მსოფლიოს 112 ქვეყანაში 1996 წელს აღრიცხული და შეფასებული 1509 ობიექტის ღირებულება 324 მლრდ დოლარი იყო. აქედან საქართველოს წილი დაახლოებით 5 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნებოდა;

2) 1998 წლისათვის რუსეთის ოქროს მარაგი შეადგენდა 480 ტონას, რაც საბაზრო ფასებით შეფასებული იყო 4.6 მლრდ დოლარად. აქედან საქართველოს წილი 74 მლნ დოლარს უდრიდა;

3) სსრ კავშირის საეალუტო რეზერვებიდან (რომლის ღირებულება ათეულობით მილიარდი დოლარი იყო) საქართველოს ეკუთვნოდა ათეულობით მილიონი დოლარი;

4) სსრ კავშირის ინვესტიციები საზღვარგარეთ ათეულობით მილიარდი დოლარი იყო და მასში საქართველოს წილი რამდენიმე ასეული მილიონ დოლარს შეადგენდა;

5) სსრ კავშირის მიმართ სხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი დებიტორების ფინანსური ვალდებულებები 150 მილიარდ დოლარზე მეტი იყო, საიდანაც საქართველოს 2.5 მილიარდი დოლარი ეკუთვნოდა;

6) რაც შეეხება ალმასის ფონდის გაყოფას, აქ რუსეთის პოზიცია ცალსახა იყო – რადგან ალმასი რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვება, არ უნდა განაწილებულიყო და მისი მეპატრონე მხოლოდ რუსეთი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებით, ყოფილი სსრკ-ის აქტივებიდან საქართველოს წილი ყველაზე შემცირებული გაანგარიშებითაც კი არანაკლებ 5 მილიარდი დოლარი იყო.

ოფისის გაანგარიშების მიხედვით, სსრ კავშირის მიერ მემკვიდრეობით დატოვებული პასივების რაოდენობა 80.1

მილიარდ აშშ დოლარს არ აღემატებოდა (42 მილიარდი დოლარი – სასღვარგარეთის ქვეყნების ვალი, 32 მილიარდი დოლარი – კომერციული ბანკების და 6.1 მილიარდი დოლარი – სავალუტო ობლიგაციების დაცალიანება).

1994-1997 წლებში მსოფლიოს ფინანსურ კლუბებთან მოლაპარაკების შედეგად რუსეთს ამ ვალებიდან მნიშვნელოვანი თანხა ჩამოეწერა, რის შედეგად კრედიტორი ქვეყნების წინაშე საბჭოთა კავშირის დროინდელი დავალიანება 38 მილიარდი დოლარი, ხოლო უცხოეთის კომერციული ბანკებისათვის 350 მილიარდი დოლარი ჰქონდა გადასახდელი. ექსპერტების გაანგარიშებით, „პარიზის კლუბის" წინაშე რუსეთის მთლიანი დავალიანება 44 მილიარდ დოლარს არ აღემატებოდა.

საბოლოოდ, „პარიზის კლუბის" (კრედიტორი ქვეყნები) და „ლონდონის კლუბის" (კრედიტორი ბანკები) მიერ ვალების რესტრუქტურიზების შემდეგ ყოფილი სსრკ-ის ვალიდან საქართველოს წილად მოდიოდა 964 მლნ აშშ დოლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ საქართველოს 2-3 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ყოფილი სსრკ-ის აქტივებზე შეიძლებოდა ჰქონოდა პრეტენზია. ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს დაახლოებით 1 მლრდ დოლარის გადახდაზე მოუწევდა ვალების აღება და, საერთო ჯამში, საბჭოთა კავშირის ქონებიდან მას შეეძლო 1-2 მლრდ დოლარის მოთხოვნა.

ეგრეთ წოდებულმა „ნულოვანმა ვარიანტმა" ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და პასიევების გაყოფასთან დაკავშირებით საქართველოში მხოლოდ 7 წლის შემდეგ გამოიწვია დიდი აჟიოტაჟი.

„ნულოვანი ვარიანტის" შესახებ ქვეყანაში ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული აზრი ჩამოყალიბდა:

ა) ქართველ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მხარს უჭერდა „ნულოვან ვარიანტს" შემდეგი არგუმენტების გამო:

1. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ყოფილმა რესპუბლიკამ, ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით, ხელი მოაწერა „ნულოვან ვარიანტს";

2. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონება ეფემერული აქტივებია და მისი ოდენობის დადგენასა და გარკვევას 20-30 წელი დასჭირდებოდა;

3. ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალების გადახდას რუსეთი დაუყოვნებლივ მოსთხოვდა საქართველოს და ამ ვალების ძირითადი ნაწილისა და მომსახურების თანხის ისედაც ძალიან მძიმე ტვირთი კიდევ უფრო გააუარესებდა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას;

4. საქართველო ვერ მიიღებდა დაფინანსებას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. დავკარგავდით საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობას და 2001 წლისთვის ბიუჯეტიდან დაგეგმილის გადამეტებით გადასახდელი გვექნებოდა 550 მლნ ლარი;

5. საქართველოს არავითარი გარანტია არ ჰქონდა საბჭოთა კავშირის ქონების საზღვარგარეთ არსებული ლიკვიდური აქტივებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ განვითარებადი ქვეყნების სრულიად უიმედო დავალიანების მიღებისა, ხოლო საბჭოთა კავშირის საგარეო ვალების გადახდისთვის დაუყოვნებლივ გავხდებოდით პასუხისმგებელნი.

როგორც ვხედავთ, ეკონომისტთა ამ ჯგუფს მიზანშეწონილ გადაწყვეტილებად მიაჩნდა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფი-ცირება, თუნდაც რუსეთის ვალების რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ.

ეკონომისტთა მეორე ჯგუფის აზრით, არ იყო სწორი ვალის გადავადების მიზნით ქონების კუთვნილ წილზე ხელის აღება, რაც რუსეთის ვალს ბევრად აღემატებოდა. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მართლაც წამგებიანად ჩანდა რუსეთის ვალის (156.5 მლნ დოლარის) გადავადების გამო ორ ან სამმილიარდიან წილზე უარის თქმა.

საქართველოს პარლამენტის მიერ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირების დაგვიანებას რუსეთმა მთელი რიგი მოთხოვნები და შეზღუდვები დაუპირისპირა. ეს შეზღუდვები გაგრძელდებოდა მანამ, სანამ საქართველოს მთავრობა პარლამენტში არ შეიტანდა განსახილველად აღნიშნულ ხელშეკრულებას, და საბოლოოდ არ მოახდენდა მის რატიფიცირებას.

საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ, რუსეთი ორ მოთხოვნას აყენებდა: ა) საქართველოს სასწრაფოდ უნდა გადაეხადა 2000 წლის დაგვალიანება – 22.43 მლნ დოლარი;

ბ) პარლამენტში განსახილველად შეეტანა „ნულოვანი ვარიანტი“ და მოეხდინა მისი რატიფიცირება.

საქართველომ ორივე ეს მოთხოვნა შეასრულა. რუსეთს გადაუხადა 22.43 მლნ დოლარი და პარლამენტმაც მძაფრი დებატების შემდეგ, 2001 წლის 16 თებერვალს რატიფიცირება გაუკეთა შეთანხმებას „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ, რომლის თანახმად, საქართველომ რუსეთის სასარგებლოდ საბოლოოდ უარი თქვა საკუთარ წილზე – 1.62%-ზე ყოფილი სსრკ-ის საგარეო აქტივებიდან.

მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფომ, 157 მლნ დღემდე გაურკვეველი წარმოშობის ვალის გადავადებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან 141 მლნ დოლარის სესხად მიღების სანაცვლოდ, რუსეთისგან დაახლოებით 3 მლრდ დოლარის მიღებაზე უარი თქვა.

საქართველომ, მართალია, „პარიზის კლუბში“ ვალების რესტრუქტურიზაციას მიაღწია და ქვეყნის კომერციული ვალები 20 წლით, ხოლო არაკომერციული – 18 წლით გადაიყადა, მაგრამ ეს შეღავათები, სსრ კავშირის აქტივებიდან მის მიერ მისაღებ წილთან შედარებით, ანგარიშში არაა მისაღები. ქვეყანამ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირებით მილიარდები დაკარგა. ამასთან, „პარიზის კლუბმა“ რესტრუქტურიზაცია საქართველოსთვის მაქსიმალურად უშეღავათო პირობებით განახორციელა. ძირითადი ვალის გადახდა 2 წლის შემდეგ დავიწყეთ, წლიური 4%-ის მომსახურების გადახდით.

მაშასადამე, საქართველომ ვალების რესტრუქტურიზაციით მხოლოდ დრო მოიგო და დროებით (2 წლით) ტვირთი შეიმსუბუქა „მსხვილი“ ვალების ქრონოლოგიური გადაწევით, სამაგიეროდ, მას 2002-2003 წლებში ბევრად მეტი თანხის გადახდა მოუხდა.

„პარიზის კლუბს“ საქართველომ წარუდგინა რამდენიმე პროექტი, რომლებიც ვალების ხანგრძლივ გადავადებას

ითვალისწინებდა. ვარიანტებს შორის იყო ნეაპოლისა და პიუსტონის მოდელები. აქედან პირველი, რომელიც ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი საგარეო ვალის ნაწილობრივ ჩამოწერასა და რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებდა, არ მიიღეს.

„პარიზის კლუბმა“, საქართველოს ვალების (1995-1997-1998 წლებში) რესტრუქტურიზაციასთან შედარებით, 2001 წელს უფრო შეზღუდა ვადები და მხოლოდ ორი წელი „გვაცალა“.

საქართველოს საგარეო ვალების 18-20 წლით გადავადება იმას ნიშნავდა, რომ, თუ 2001-2002 წელს უნდა გაგვესტუმრებინა 241 მლნ აშშ დოლარი, 18 წლის განმავლობაში მოგვეხდება 985 მლნ აშშ დოლარის (241 მლნ დოლარი პლუს ყოველწლიურად 4%) და, აგრეთვე, სხვა ვალების განვადების პროცენტის გასტუმრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „პარიზის კლუბის“ მიერ განვადებულ იქნა მხოლოდ რუსეთის, ავსტრიის, ჩინეთის, ირანის, თურქეთისა და აშშ-ის კრედიტები. რაც შეეხება სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქეთის, უკრაინისა და უზბეკეთის ვალების გადავადებას, ეს მათ არ განახორციელეს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ 2003 წლიდან საქართველოს მნიშვნელოვნად გაეზარდა საგარეო ვალის მომსახურების ხარჯები და იგი იძულებული გახდა, ეკონომიკის დაფინანსების ნაცვლად მევალე ქვეყნების სასარგებლოდ ეხადა თანხები. ამდენად „ნულოვანი ვარიანტი“ მიღებულ იქნა რუსეთის მიმართ საქართველოს ვალის ორიოდე წლით გადავადების დაპირების სანაცვლოდ. ეს წარმოუდგენლად დიდი შეცდომა იყო. სასურველი იყო, შექმნილიყო ორმხრივი კომისია (მასში პარალელურად უნდა ჩართულიყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც) და რუსეთთან ჯერ კიდევ 1993-1994 წლებში დაგვეწყო მოლაპარაკება ამ საკითხების მოსაგვარებლად და პრინციპულად მოგვეთხოვა ჩვენი კუთვნილი წილი. სადავო საკითხების გადასაწყვეტად უნდა გამოგვეყენებინა ჰააგის სასამართლო, ვენის კონვენცია, აგრეთვე, „პარიზისა“ და „ლონდონის კლუბები“. ვენის კონვენციის თანახმად (რომელსაც საქართველო 1993 წელს შეუერთდა) და სხვა

საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ამ ქონებას რუსეთი ვერ განკარგავდა საქართველოს გარეშე. თუ საქართველო თავისი ნებით არ დათმობდა კუთვნილ წილს, რუსეთი ვერ აიცილებდა საბჭოთა კავშირის საგარეო აქტივების გადმოცემას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აპრობირებულია ვალების გაყიდვის პრაქტიკა, მათი ღირებულების 10, 20 ან 25 პროცენტის ფარგლებში. საქართველოს (უკიდურეს შემთხვევაში) შეეძლო სსრკ-ის ქონებიდან თავისი წილი გადაეცა სოლიდური უცხოური ბანკებისთვის, რომლებიც ვენის კონვენციის შეთანხმების საფუძველზე მას ამოიღებდნენ.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ 1992 წლიდან მოყოლებული თითქმის არაფერი გააკეთა. მუდმივმა დათმობის პოლიტიკამ საერთაშორისო აქტუალობა დაუკარგა ამ პრობლემას და, შესაბამისად, ვერ მივიღეთ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. ჩვენი მთავარი მიზანი ვალის გადავადება კი არ უნდა ყოფილიყო, რათა აგვეღო ახალი სესხი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, არამედ პრინციპულად უნდა დაგვედგინა და მოგვეთხოვა რუსეთისგან ჩვენი კუთვნილი წილი. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ 1991 წლის 4 დეკემბერს და 1993 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ გააცნობიერეს, თუ რა დოკუმენტზე მოაწერეს ხელი. განა შეიძლებოდა ისეთ ხელშეკრულებაზე (შეთანხმებაზე) ხელის მოწერა, სადაც ზუსტად არ იქნებოდა გაანგარიშებული და დადგენილი ყოფილი სსრკ-ის აქტივები და პასივები და მასში საქართველოს წილი?

როგორც ვნახეთ, „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები არსებობს. საქართველო თუ არ მოახდენდა ამ დოკუმენტის რატიფიცირებას, იგი დაკარგავდა თავის იმიჯს დასავლეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში; „დიდი შვიდეული“, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები განუდგებოდნენ და ზურგს შეაქცევდნენ; „პარიზის კლუბსა“ და „ლონდონის

კლუბში“ გამორიცხული იქნებოდა მოლაპარაკებები არათუ ვალების ჩამოწერის, არამედ გადავადების თაობაზეც; რუსეთისგან ვერ მივიღებდით ჯერ კიდევ დაუთელელი და გაურკვეველი აქტივების მეათედსაც კი; დავიძაბავდით მასთან პოლიტიკურ ურთიერთობას და, შესაბამისად, საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავებით გაძლიერდებოდა ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს სხვა გზა მართლაც არ ჰქონდა და აუცილებლად უნდა მოეხდინა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება. ეს არგუმენტები მხოლოდ მისეზებია იმისა, თუ რისთვის დაეთანხმდით რატიფიცირებაზე. მაგრამ, მეორე მხარეა ის, თუ რა იყო რეალობა, სინამდვილე. ჩვენ ვერ დავამტკიცეთ ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ, თუ რატომ მოვაწერეთ ხელი „ნულოვან ვარიანტს“.

ფაქტი ის იყო, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა პრეზიდენტად არჩევის წლისთავთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, „...ნულოვანი ვარიანტი რუსეთისათვის მატერიალურად წამგებიანია და მასზე ხელის მოწერა რუსეთის შეცდომად მიმაჩნია-ო“.

რუსეთის საზღვარგარეთულ აქტივებზე თუ მართლაც მეტი იყო პასივების ღირებულება, მაშინ რატომ აიძულებდა იგი მუქარით უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანს, უზბეკეთსა და მოლდოვას, ხელი მოეწერათ „ნულოვან ვარიანტზე?“.

თუ „ნულოვანი ვარიანტი“ არ იყო მისაღები რუსეთის მხარისთვის, რამ განაპირობა მისი აუცილებლობა? მანამდე, 1991 წლის 4 დეკემბერს, ხომ გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრული იყო სსრ კავშირის აქტივებსა და პასივებში ე.წ. მოძმე რესპუბლიკების წილი? ორი წლის შემდეგ, 1993 წლის 14 სექტემბერს რატომ დაარღვია რუსეთმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალებისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ 1991 წლის 4 დეკემბრის შეთანხმება? რატომ იკისრა რუსეთმა მთელი საგარეო დავალიანების გადახდა? და რატომ დააძალა რუსეთმა მოკავშირე რესპუბლიკებს, დაეთმოთ სსრ კავშირის საზღვარგარეთ არსებული აქტივები?

რატომ უარყოფენ „ნულოვანი ვარიანტის“ მომხრეები იმას, რომ „დიდმა შვიდეულმა“, იმის შიშით, სსრ კავშირის დაშლის შედეგად დასავლეთის კრედიტორ ქვეყნებს არ დაჰკარგვოდათ სსრ კავშირის მიმართ ადრე არსებული ვალები, 1991 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვში რუსეთის მთავრობას ძლიერი ზეწოლის პირობებში რომ მოაწერინა ხელი მემორანდუმზე?

თუ რუსეთს ხელს არ აძლევდა „ნულოვანი ვარიანტი“, რატომ არ მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების და, განსაკუთრებით, უკრაინის წინადადება, რომ იგი სსრ კავშირის კუთვნილი აქტივების მიღების შემთხვევაში აუცილებლად გადაიხდიდა საგარეო ვალებს?

ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია რუსეთის მომიზეზება, თითქოს „მოკავშირე რესპუბლიკები ვერ მოახერხებენ მათი წილი ვალების მომსახურებას“.

გასაკვირია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტში ისე მოახდინეს „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება, საზოგადოებას არ მიაწოდეს ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო ვალებისა და აქტივების ზუსტი (თუნდაც რუსეთთან შეთანხმებული) მონაცემები. დღეს საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ დაირღვა სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციის დებულება, რატომ მოხდა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება და რა იყო უმთავრესი: წმინდა ეკონომიკური ეფექტიანობა, თუ ძალიან სერიოზული პოლიტიკური მოტივაცია?

ალბათ, ჩვენი შთამომაყოლობა ზუსტად გაიანგარიშებს და დაადგენს ყოველივეს და მკაცრად მოჰკითხავს კიდეც რატიფიცირების ავტორებს.

11. დეფოლტი, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია

მკითხველების ყურადღებას მივაქცევ პრობლემას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის მიერ საგარეო დავალიანების გადახდაზე უარის თქმას, ე.წ. დეფოლტს.

როცა ქვეყანას უზარმაზარი შიგა და საგარეო ვალი უგროვდება და არ აქვს ვალების ძირითადი თანხისა და მომსახურების საპროცენტო თანხების გადახდის საშუალება, იგი იღებს გადაწყვეტილებას ვალის არგადახდის შესახებ, რასაც ეწოდება „დეფოლტი“. ასეთი ქვეყნის მიმართ განკითარებული ქვეყნები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ანხორციელებენ მთელ რიგ შეზღუდვებს და აწესებენ სანქციებს:

1. მოვალე ქვეყნები აყადაღებენ ამ ქვეყნის საკუთრებაში არსებულ საზღვარგარეთულ აქტივებს, აგრეთვე, საქონელს, რომელიც შეტანილია კრედიტორი ქვეყნის ტერიტორიაზე;

2. ხორციელდება მოვალე ქვეყნის კაპიტალის საერთაშორისო ბაზრიდან განდევნა – იზოლირება;

3. ჩამოერთმევა საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება; კრედიტორი ქვეყნები ყადაღას ადებენ მოვალე ქვეყნის საქონელს საზღვრის გადალახვის დროს, აგრეთვე, უზღუდავენ საგარეო-სავაჭრო კრედიტების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, აკონტროლებენ საზღვარგარეთის ბანკებში საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ართმევენ საკალუტო ანგარიშსწორების წარმოების უფლებას;

4. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს, აგრეთვე, მეკალე ქვეყნის მიერ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში მოვალე ქვეყნის საგარეო ვალდებულებების (ე.წ. „რუს ბაზარზე“) გაყიდვის ფაქტები. ასეთი სანქცია გატარებული იქნა ბოლივიის მიმართ.

დეფოლტის ისტორია დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ პერიოდში ვალების გადახდაზე უარი განაცხადა მექსიკამ, ბრაზილიამ, პერუმ, არგენტინამ, კუბამ, ჩილემ და ვენესუელამ. მათ მძიმე ეკონომიკური პრობლემები შეექმნათ და იძულებული გახდნენ, ამ არცთუ სასიამოვნო მეთოდისთვის მიემართათ. ზოგიერთმა ქვეყანამ „დეფოლტს“ ეკონომიკური სიძნელეების გამო მიმართა, სხვები ამ გზას პოლიტიკური მოსაზრებით დაადგნენ.

კუბამ და პერუმ პირი შეკრეს და უარი თქვეს განვითარებული ქვეყნების ვალების დაბრუნებაზე. ამის გამო კუბა და პერუ სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცნენ, ბანკებმა უარი თქვეს ამ ქვეყნებისათვის სხვა კრედიტების

გამოყოფაზე. გარდა ამისა, მათ წინააღმდეგ მიმართული იყო სავაჭრო სანქციები, რაც გამოიხატა საექსპერტო ტარიფების ზრდით და ა.შ.

განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან ამგვარი მიდგომის შემდეგ ვალების გადახდაზე (თუ მათ მომსახურებაზე) უარის მთქმელმა ქვეყნებმა უფრო მეტი ზარალი ნახეს, ვიდრე ის თანხები იყო, რომელიც მათ ვალების გადახდასთან დაკავშირებით დასჭირდებოდათ.

12. საგარეო დავალიანების „ცუნამი"

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიო დავალიანება, ანუ გადაუხდელი საგარეო ვალების მოცულობა განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ერთად აღებული შეადგენს 8 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტს. ამასთან, რაც უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფინანსური გლობალიზაციის პროცესი, მით უფრო მეტად იზრდება საგარეო ვალების მოცულობაც. შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვალების აღება და საგარეო დავალიანება თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ელემენტი გახდა. ცნობილია, რომ საგადამხდელო ბალანსის ქრონიკულ დეფიციტებს ადგილი აქვს ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, თურქეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, შვედეთი, საბერძნეთი და სხვ.

XX საუკუნის 90-იან წლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს განვითარებადი ქვეყნების გიგანტური საგარეო ვალი, რამაც 4 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. იგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, როგორც მსესხებელი, ისე გამსესხებელი ქვეყნებისათვის, რომლის შედეგები განუჭვრეტელი და საკმაოდ საშიშია. დღეს იგი გადაიქცა არსებითი მნიშვნელობის მრავალი წინააღმდეგობის წარმომშობ პოლიტიკურ პრობლემად და ამიტომ გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს.

დღეს მეტალე ქვეყნები, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, თავს ნეოკოლონიალიზმის

ზეგავლენის ქვეშ გრძნობენ. როგორც ამტკიცებენ, ინვესტიციური დაბანდებებიცა და სახელმწიფო დახმარებებიც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციის, მდიდარი ქვეყნებისადმი მათი დამოკიდებულების გახანგრძლივებას ემსახურება.

სუსტად განვითარებული ქვეყნები თელიან, რომ მათი ახლანდელი დავალიანება, მისი მასშტაბების გამო, სერიოზული დაბრკოლებაა ეკონომიკური ზრდის გზაზე. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები, მიუხედავად მათ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალური დაბანდებების (და სხვა დახმარებების) გამოყენებისა,კმაყოფილი არ არიან განვითარებულ ქვეყნებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობით.

ისინი მიიჩნევენ, რომ უცხოური დახმარება არასაკმარისი და არაეფექტიანია, რამდენადაც განვითარებული ქვეყნების მიერ მომსახურების სახით ყოველწლიურად „წართმეული“ სახსრების მოცულობა მათი მეპ-ის საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ე.ი. საპროცენტო განაკვეთები მაღალია.

განვითარებადი ქვეყნები განსაკუთრებით არ ემადლიერებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდს:

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრედიტს აძლევს არა კერძო ფირმებსა და კორპორაციებს, არამედ – მხოლოდ სახელმწიფოს. სსფ კრედიტი კერძო ფირმას შეუძლია მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სახელმწიფო დაუდგება გარანტად (ისიც გამონაკლის შემთხვევაში);

2. სახელმწიფოს, რომელიც სსფ-დან იღებს სესხებს, უფლება არ აქვს, იგი გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებებისთვის, ანუ უშუალოდ ეკონომიკის განვითარებისთვის. ძირითადად, სსფ სესხს იძლევა ეროვნული ვალუტის კურსის გასამყარებლად, ენერგოშემცველებისა და სამომხმარებლო საქონლის შესაძენად. ამით იგი უშუალოდ ხელს არ უწყობს ამ ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განვითარებას;

3. სსფ პირდაპირ მოითხოვს (კარნახობს), შემცირდეს ხარჯები მეცნიერებაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და ა.შ.

და ამ გზით ცდილობს განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ქვეყნების მესამე სამყაროს ქვეყნების რიგში გადაყვანას;

4. ასევე არაეფექტიანია დონორი ქვეყნების დახმარება, რადგან მათი ყველა სახის დახმარება დონორ ქვეყნებზეა მიბმული. მაგალითად, ამერიკული დახმარება უნდა დაიხარჯოს მხოლოდ ამერიკული საქონლისა და მომსახურების შესაძენად და ა. შ. ამიტომაცაა, რომ დღეისათვის მეტად არადამა-კმაყოფილებელია საქართველოს საგარეო ვალის სტრუქტურა, ტექნიკური კრედიტების წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 15%-ს, სასაქონლო კრედიტებისა – 41% და სარეაბილიტაციო კრედიტებისა 44%;

5. ხშირ შემთხვევაში დონორ ქვეყნებში განვითარებული ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს და ამცირებს ვალის მიმღები ქვეყნებისთვის გადაცემული დახმარებების ღირებულებას.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ჯეფერი საქსის აზრით, ბოლო უნდა მოეღოს იმ მავნე პრაქტიკას, როდესაც ფონდი კარნახობს ქვეყნებს და მთავრობებს, რა არის მათთვის კარგი და რა – ცუდი. დღეს მსოფლიოს ბევრი ცნობილი ეკონომისტი და პოლიტიკოსი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სსფ-ის საქმიანობას და მოუწოდებს მას, უარი თქვას გლობალურ უნიფიცირებულ მიდგომებზე ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკასთან მიმართებაში და გაითვალისწინოს მათი სპეციფიკა.

ექსპერტთა და მეწარმეთა ერთი ნაწილის აზრით, სსფ არანაირად არაა „საერთაშორისო დახმარების სალარო“, არამედ, გიგანტური საერთაშორისო მანქანაა, რომელიც სხვადასხვა ხერხით შეაღწევს გაჭირვებულ ქვეყნებში, შეაჩვევს მათ მცირე ზომის კრედიტების აღებას და ისეთნაირად „აუწყობს“ ეკონომიკას, რომ ვერ შეძლონ კრედიტების გარეშე არსებობა. ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი ეკონომიკის განვითარება ყოველთვის გადაიხდის ვალებს და ვერ გახდება კონკურენტუნარიანი, ანუ სამუდამოდ

დარჩება სუსტად განვითარებულ, სსფ-ის შესანახ და მორჩილ ობიექტად.

აშკარაა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მართლაც აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ხშირ შემთხვევაში იგი ვერ ითვალისწინებს ქვეყნების ისტორიას, კულტურულ და ეროვნულ თავისებურებებს და, აქედან გამომდინარე, თავს ახვევს არასწორ რეკომენდაციებს და ა.შ. მაგრამ შეცდომა იქნებოდა მისი დამსახურების უგულებელყოფაც.

13. მოლაპარაკებები გადახდისუნარიანობის კრიზისის დაძლევის მიზნით კრედიტორ და მსესხებელ ქვეყნებს შორის

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ მოხდა საქართველოს საგარეო ვალების შეღავათიანი პირობებით რესტრუქტურიზაცია, ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არაა, ე.ი. ვალის ძირითადი თანხისა და მომსახურების (პროცენტების) გადახდის პირობებში არსებობს სერიოზული პრობლემები.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მოქმედებდა კრედიტორებთან მიღწეული შეთანხმებები, რომელთა მიხედვით ვიხდიდით მხოლოდ ვალის პროცენტს და არა მის ძირითად ნაწილს.

მაშასადამე, თუ არ მოხერხდა ამ ვალების ხელსაყრელი პირობებით განვადება, საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველკვარტალურად გადასახდელი ექნება ასეულობით მილიონი დოლარი – საგარეო სესხების ძირითადი თანხებისა და სარგებლის თანხების დასაფარავად. ეს კი გამოიწვევს სოციალური და სხვა სახის პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანწილად შემცირებას.

საქართველოს საგარეო დავალიანების დასაფარავი თანხა (რომელიც შეიცავს ძირითად და მომსახურების საპროცენტო თანხებს და ვადაგადაცილებულ დავალიანებაზე დარიცხულ საჯარიმო თანხას) ყოველთვის

აღემატება ნებისმიერი მომდევნო წლის ბიუჯეტის შესაძლებლობებს.

ამდენად, საგარეო ვალების მომსახურების საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება და, მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე, არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი.

14. სავალო კრიზისის დაძლევის გზები და საშუალებები

როგორც ამას მთავრობის ოფიციალური მონაცემები ადასტურებენ, საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება, ხოლო მოლიანი შიგა პროდუქტის წარმოების ზრდის ტემპი თითქმის არ იცვლება.

საქართველოს სახელმწიფო ვალი 2003 წლის 2.1 მლნ აშშ დოლარიდან 2011 წლის 31 იანვრისთვის 8.5 მლრდ აშშ დოლარამდე, ანუ ოთხჯერზე მეტად გაიზარდა.

უაღრესად დიდია ვალის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტთან და იგი ამ უკანასკნელის 59.2%-ს შეადგენს მაშინ როცა კრიტიკული ზღვარი 45-50%-ს არ აღემატება.

საგარეო ვალის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 1932 აშშ დოლარს, ხოლო შიგა ვალი – 409 ლარს.

საგარეო ვალის მთლიანი თანხის თანაფარდობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან (კრიტიკული ზღვარი შეადგენს 275 %-ს) 560 %-ს უდრის, რაც კრიტიკულ ზღვარს ორჯერ აღემატება.

საგარეო ვალის მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის სავალუტო რეზერვებთან 2011 წლის ბოლოს კატასტროფულად გაიზარდა და 2800 %-ს გადააჭარბა.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ძირითადი ვალის ზრდასთან ერთად იზრდება სარგებლის გადასახდელების თანხა.

როგორც ამას საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობების პრაქტიკა ადასტურებს, საგარეო ვალდებულებებზე მომსახურების კოეფიციენტი 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

საქართველოს საგარეო ვალებზე მომსახურების კოეფიციენტს განსაკუთრებით ზრდის ევროგაერთიანებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის კრედიტებზე არსებული მთლიანი გრანტელემენტები, რომელიც 80%-ს აღემატება.

კრედიტებზე გადასახდელი საპროცენტო თანხა არ უნდა აჭარბებდეს ექსპორტის ზრდის ტემპს. სამწუხაროდ, საქართველოში ეს არცთუ იშვიათად ხდება, რაც ამცირებს ქვეყნის სავალუტო რეზერვებს და ქმნის დამატებით სასესხო ვალდებულებებს.

დავალიანების მომსახურების თანხებს განსაკუთრებით ზრდის საგარეო დავალიანებებზე დაწესებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთები, აგრეთვე დოლარის კურსის მიმართ ლარის კურსის გაუფასურების ტენდენცია. აღნიშნული მიზეზები ქვეყანაში ზრდის დამატებით ხარჯებს და ქმნის წინაკრიზისულ სიტუაციას.

საგარეო ვალის სარგებლის გადასახდელი ნთქავს ეროვნული შემოსავლის დიდ ნაწილს. იგი, თავის მხრივ, ამცირებს ქვეყნის შიგნით გამოსაყენებელ მშპ-ს. მცირდება გადასახადებით აკრეფილი თანხების მოცულობა და ძლიერდება ბიუჯეტის დეფიციტი.

აქედან გამომდინარე, ძირითადი ვალის გადასახდელი თანხა ყოველწლიურად ქვეყნის მშპ-ისა და ბიუჯეტის გასაველების სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლემას მეტად ამძიმებს დიდი რაოდენობის შიგა ვალი.

საქართველომ მთავრობის მიერ ინდექსირებული შიგა ვალის რაოდენობა (1.176.6 ათასი ლარი) არ ასახავს ვალის რეალურ მოცულობას. არასწორადაა გაანგარიშებული (ინდექსირებული) მოსახლეობის მიერ 1993-1995 წლებში შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრები და საბინაო-

სამშენებლო კოოპერატივებში დაბანდებული თანხები. ასევე, ვალში არ შედის ლარის დევალვაციის გამო საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული განაღდებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღირებულება; სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებზე გაუცემელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანება; სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარაუი ვალდებულებების საორიენტაციო მოცულობა და სხვა.

ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას კომპეტენტური სახელმწიფო კომისია და დამუშავდეს ინდექსაციის ახალი მექანიზმი, ჩატარდეს სახელმწიფო შიგა ვალის ზუსტი ინვენტარიზაცია, როგორც მთლიანი თანხის, ასევე ვალის ცალკეული მუხლების მიხედვით. ამ პრობლემის გადაწყვეტას აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მოსახლეობას უნდა აუნაზღაურდეს ინფლაციის შედეგად მიყენებული ფინანსური ზარალი და აღდგეს მოსახლეობასა და საბანკო სისტემას შორის წარმოქმნილი უნდობლობა.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს პოლიტიკა ამ საკითხებთან მიმართებით უნდა ითვალისწინებდეს არა ამ ანაბრების მოცულობის ხელოვნურად მნიშვნელოვან შემცირებას, არამედ ამ ვალის მაქსიმალური სიზუსტით აღდგენასა და დანაზოგების გარანტირებული დაცვის უზრუნველყოფას, ასევე მისი განაღდების ოპტიმალური ვადების განსაზღვრას სახელმწიფო ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

იგივე მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული ვალის სხვა მუხლების (ელემენტების) მიმართ. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია პარლამენტის მიერ მიღებულ იქნეს კანონი მოსახლეობის გაუფასურებული ფულადი ანაბრების აღდგენის, დაცვისა და ანაზღაურების შესახებ.

სახელმწიფომ შიგა ვალად უნდა ცნოს მუშა-მოსამსახურეებზე და მოსახლეობაზე გაუცემელი ხელფასები

და პენსიები, ვალდებულება აიღოს მეეალეების წინაშე და ისინი იურიდიულად აღიაროს შიგა კრედიტორებად.

უპრიანია კომპენსირების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეებზე ბიუჯეტიდან გადასაცემი თანხების ინვესტიციებში წარმართვას პერსპექტიულ საწარმოებში ან მოსახლეობაზე აქციების განაწილებით, ანაბრებზე კუთვნილი თანხების პროპორციულად. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეიძლება მოხდეს სააქციო საზოგადოებებში სახელმწიფოს კუთვნილი აქციების გადაცემის გზით.

რადგან ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის ფონზე შიგა ვალის გასტუმრება ვერ ხერხდება, საჭიროა გამოიძებნოს ამ ვალის გასტუმრების საკმაოდ რეალური და უპრობლემო გზა. კერძოდ, მეეალეებმა ფულად გამოხატულებაში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხის ნაცვლად უნდა მიიღონ საკუთრებაში მიწები, შენობები, სხვა უძრავი ქონება, საწარმოთა აქციები, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები და ა.შ. აღნიშნული ქონების ღირებულება უნდა ჩაითვალოს პრივატიზებიდან ამოღებულ თანხებად და ფინანსთა სამინისტრომ ამ გზით დაფაროს ცალკეული შიგა ვალი, ან სახელმწიფომ გამოუშვას ობლიგაციები და მეეალეებს მისცეს ვალის დაბრუნების მტკიცე გარანტიები.

უცხოური კრედიტების და დახმარებების, აგრეთვე შიგა ვალის, არაეფექტიანი და სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელი ხარჯვა საზოგადოების საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. ეს სფერო განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ელიტური კორუფციის ერთ-ერთ ძირითად ასპექტად არის მიჩნეული. მოკლე ვადაში დაგროვდა საგარეო ვალი 8.5 მლრდ აშშ დოლარის, ხოლო შიგა ვალი 1.176.6 მლნ ლარის ოდენობით, რომელთა მომსახურება დღეს მძიმე ტვირთად აწვება ბიუჯეტს, ხოლო კრედიტებიდან მიღებული სარგებლობა აშკარად ამ ტვირთის არაპროპორციულია.

ამასთან, ყოველწლიურად იზრდება სამთავრობო ხარჯები და იგი მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. სახსრები ძირითადად ხმარდება ტრანსფერებს, პოლიციის შენახვას, საზღვარგარეთ უშედეგო მოგზაურობებს, ლარის

კურსის განმტკიცებას და ა.შ. რაც მთავარია, აღებული სესხები არ გამოიყენება წარმოების შემდგომი გამოცოცხლებისა და განვითარებისათვის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი გაიფლანგა. მათი მნიშვნელოვანი ოდენობა მოხმარდა სურსათისა და მედიკამენტების იმპორტს, მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირისა და საწვავის შეძენას, რაც საქართველოს მიერ მიღებული მთლიანი კრედიტის 38.4%-ს შეადგენს, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული კრედიტები გამოყენებულ იქნა ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისათვის.

თუ სამთავრობო ხარჯების გადიდება ისეთი მიმართულებით განხორციელდება, როგორიცაა სუბსიდიები პარლამენტისა და მთავრობის სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ლიმუზინების, მერსედესების, ჯიპებისა და ა.შ. შესაძენად, მაშინ ვალის აღების სიმძიმე ნამდვილად დაეკისრება მომავალ თაობას. მაგრამ, თუ სამთავრობო ხარჯები მომავლისათვის მაინც გამოყენებული იქნება მატერიალური წარმოების სფეროს გაფართოებისათვის, ეს ღონისძიებები განამტკიცებს ეკონომიკის საწარმოო პოტენციალს, აამუშავებს საწარმოო სიმძლავრეებს, მიიღწევა სრული დასაქმება და გაიზრდება მეპ-ის მოცულობა. ამ შემთხვევაში საგარეო ვალი საერთოსახელმწიფოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს.

საჭიროა საგარეო ვალების წარმოქმნის საკითხებთან დაკავშირებით რუსეთთან და თურქეთთან და აგრეთვე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან სპეციალური მოლაპარაკების გამართვა. აქ ბევრი რამ გაურკვეველია როგორც ფინანსური და მატერიალური რესურსების მოძრაობის აღრიცხვის, ასევე ვალდებულებათა მოცულობის დადგენის მეთოდის მხრივაც.

კატეგორიულად უნდა დაისვას საკითხი რუსეთის ხელისუფლებასთან საქართველოსადმი იმ ვალდებულებათა აღიარების შესახებ, რომელიც ეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, „ვნეშეკონომბანკში“ არაკანონიერად ბლოკირებულ

საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების (54 მლნ დოლარის) განაღდებას. უნდა მოვითხოვოთ საკავშირო სახელმწიფო დაზღვევის სისტემაში ჩვენი კუთვნილი წილი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ვალდებულებების აღიარება. რუსეთისადმი საქართველოს დავალიანების შემცირების ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ფინანსური ვალების იმ უძრავ ქონებაზე გაცვლა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა და განლაგებულია რუსეთის ტერიტორიაზე. ასეთი პრაქტიკა მრავალმა პოსტსაბჭოურმა რესპუბლიკამ გამოიყენა. უზბეკეთმა რუსეთს 16 მილიარდი მანეთის ფინანსური დავალიანების სანაცვლოდ გადასცა მის კუთვნილებაში არსებული სოჭის ტერიტორიაზე მდებარე სანატორიუმი „უზბეკისტანი“, ასეთივე ოპერაცია განახორციელა ყირგიზეთმა. საქართველოს სუთი ღვინის ქარხანა განლაგებულია რუსეთის ტერიტორიაზე, რომელთა საქართველოს საკუთრებაში დაბრუნება დღემდე ვერ ხერხდება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ღირებულების ჩათვლა იმ ვალებში რომელიც საქართველოს მართებს რუსეთთან.

უნდა დასაბუთდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების საქართველოსათვის დაკისრების არამიზანშეწონილობა. საქართველოს მიერ ამ უსარმაზარი ხარჯების აღიარება, როგორც დავალიანება რუსეთის წინაშე, არ შეესაბამება არც პოლიტიკურ და, მითუმეტეს, არც ეკონომიკურ ლოგიკას.

როგორც „საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის“ მონაცემებით ირკვევა. სესხების გარკვეული ნაწილი გაიფლანგა. უამრავი კრედიტი, გრანტი, დახმარება, რომელიც უნდა მოხმარებოდა ქვეყნის აღმშენებლობას, დაიხარჯა არამიზნობრივად და მოხმარდა არა იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რისთვისაც ის იყო გამოყოფილი, არამედ ზოგიერთ პირთა ინტერესებს.

სესხების აღებისას, როგორც წესი, არ შეისწავლებოდა კრედიტების მიმღები ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა. იყო შემთხვევები, როცა მოკლე პერიოდში ერთიდაიმავე

ორგანიზაციას მიეცა სესხი ერთიდაიმავე დანიშნულებით და ა.შ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტების კერძო სტრუქტურებზე გაცემა და სხვა.

საჭიროა გადამოწმდეს წინა კრედიტები და დადგინდეს, რამდენად მიზნობრივად და ეფექტიანად მოხდა მათი დახარჯვა.

ეფექტიანი ღონისძიებები უნდა გატარდეს უცხოური კრედიტებისა და დახმარებების არამიზნობრივი „ხვრელების" გადასაკეტად. ამასთან, ფართო პროპაგანდა უნდა ეწარმოოთ საერთაშორისო ნდობისა და ავტორიტეტის აღდგენის თვალსაზრისით.

საქართველოს მიერ მიღებული კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა სოციალური დაცვის ღონისძიებებს და დაიხარჯა არაწარმოებრივ სფეროში. კრიზისის პერიოდში მათ მართლაც უდიდესი როლი შეასრულეს მოსახლეობის სოციალურად დაცვისა და პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგრამ, მომავალში მთავრობის მიერ მიღებული ყოველი კრედიტი უპირატესად უნდა მოხმარდეს ინვესტიციური ხასიათის მიზნობრივი პროექტების დაფინანსებას.

ყოველი ახალი კრედიტის განაწილება საწარმოებსა და ფირმებზე უნდა მოხდეს კონკურსის საფუძველზე. კარგად უნდა იქნეს შესწავლილი კრედიტის ამღები ფირმებისა და საწარმოების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რათა საგარეო სესხები გადახდისუუნარო მსესხებლის ხელში არ მოხვდეს.

საჭიროა მკაცრი კონტროლის დაწესება მსესხებლის მიერ კრიტიკის ხარჯვისა და დაფარვის სისწორეზე. საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის მხრიდან გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული (ანგარიშის გაყინვა, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის აღძრა სახელმწიფო ქონების დატაცების მუხლით და სხვა).

სამთავრობო ხარჯების ზრდა ეკონომიკაში ინვესტიციების მასტიმულირებელ ეფექტს უნდა ქმნიდეს. მულტიპლიკატორის ეფექტის მეშვეობით აუცილებელია გაუმჯობესდეს კერძო ბიზნესის მოგებათა მოლოდინი და გადიდდეს საინვესტიციო მოთხოვნა.

როგორც ეს სათანადო მონაცემების ანალიზით ირკვევა, საქართველო უახლოეს მომავალში თავს ვერ დააღწევს სავალო კრიზისს. ეკონომიკური ზრდის ტემპის აბსოლუტური სიდიდე არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურება.

არ მუშაობს მრეწველობის მთელი რიგი დარგები, სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობას და ა.შ.

საქართველოში უნდა შეიქმნას მტკიცე წანამძღვრები მატერიალური წარმოების რამდენიმე პრიორიტეტული დარგის განვითარებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია უნდა მოხდეს მრეწველობის აღორძინებით. იგი არა მარტო ბიუჯეტის შევსების წყაროა, არამედ სხვა დარგების განვითარების საფუძველსაც წარმოადგენს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობისა და მისი ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. ამ მხრივ აუცილებელია ქვეყანაში რადიკალური ღონისიებების გატარება.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკის ზრდის პროცესის შეუქცევადობა, რათა პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა.

ამისათვის კი აუცილებელია ეკონომიკური გარემოს შემდგომი გაუმჯობესება, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგის და სფეროს რესტრუქტურიზაცია, ახალი სამეურნეო კავშირების ფორმირება, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბება, მიღებული ჯერ კიდევ აუთვისებელი საგარეო ვალების მაღალეფექტიანი გამოყენება.

ქვეყანაში უნდა შეიქმნას მატერიალური წარმოების სფეროს ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობები. მარტო საქონელმიმოქცევიდან და მომსახურებიდან ამოღებული გადასახადებით სახელმწიფო დიდხანს ვერ იფუნქციონირებს. ამ მიმართულებით საჭიროა:

ა) მოზიდული იქნეს მსხვილი ინვესტიციები;

ბ) ხელი შეეწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას.

ყურადღება უნდა შევაჩეროთ მაქსიმალურად შეღავათიან კრედიტებზე (ხანგრძლივი ვადით, დაბალი სარგებლის განაკვეთით და რესტრუქტურიზაციის მაღალი

შესაძლებლობით). სასურველია ხელშეკრულებაში ჩაიდოს ვალუტის ფიქსირებული კურსი, რომლითაც შემდგომში მოხდება ანგარიშსწორება. ამ მხრივ არჩევანი უნდა გაკეთდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის სესხებზე, რადგანაც საქართველოს დღეისათვის საგარეო სესხებს შორის წორედ ამ ორგანიზაციიდან აქვს მიღებული კრედიტები დაფარვის ყველაზე ხანგრძლივი ვადით და დაბალი სარგებლის განაკვეთით.

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია: მეწარმეობისათვის სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა; შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა, გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება და მეწარმეებისათვის გარკვეული დახმარების გაწევა საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებაში.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობის ანალიზით, რომლებმაც თავი დააღწიეს ჩამორჩენილობას, ირკვევა, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების დონე დაახლოებით მშპ-ის ღირებულების 20-25% უნდა შეადგენდეს.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო ინვესტიციები მშპ-ის ღირებულების 6-7%-ს არ აღემატება. ექსპერტების პროგნოზი, რომ პრივატიზების შედეგად დაიწყებოდა უცხოური ინვესტიციების მოდინება, არ გამართლდა. ინვესტიციური ხასიათის კრედიტების თანხიდან კაპიტალდაბანდებებისათვის გამოიყენება მხოლოდ 15-20 პროცენტი.

საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო უცხოური ინვესტიციების აქტიურად მოზიდვის მიზნით. დაბალი შემოსავლებისა და შეზღუდული სახელმწიფო ფინანსური რესურსების პირობებში კაპიტალდაბანდებათა ძირითადი წყარო უნდა გახდეს უცხოური ინვესტიციები.

უცხოური ინვესტიციები განხილული უნდა იქნეს, როგორც ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საწარმოო პროცესების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დაუფლების და საბაზრო ეკონომიკის

მოთხოვნების დონეზე კადრების მომზადების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს სამეწარმეო და სასესხო ფორმით, ამასთან, მხარი უნდა დაუჭიროთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე პოპულარულ ფორმას – ერთობლივი საწარმოების შექმნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი სახელმწიფო ვალი ეკონომიკურ პრობლემათა ცენტრშია.

ყოველწლიური დეფიციტის აბსოლუტური სიდიდე (ისევე, როგორც სახელმწიფოებრივი ვალისა) 1996-2011 წლებში გიგანტურად გაიზარდა.

ბიუჯეტის დეფიციტთან ერთად იზრდება სახელმწიფო ვალის ძირითადი თანხა და სარგებლის გადასახდელები.

დეფიციტის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება დაქვეითების ფაზაში მკვეთრად გამოხატული შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის გამოყენება.

უნდა გაიზარდოს ბიუჯეტში გადასახადების მობილიზების მაჩვენებელი მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულებიდან.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა უნდა წარიმართოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის – დაბეგვრის თანასწორობის, სამართლიანობის, ეფექტიანობის, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესების საფუძველზე.

საგადასახადო სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისა და მისი სრულყოფის მიზნით, აუცილებელია საგადასახადო სისტემის გამარტივება და რაციონალიზაცია გადასახადების რაოდენობის შემცირებისა და საგადასახადო კანონმდებლობის კონსოლიდაციის გზით.

წარმოების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საბანკო სისტემამ. საწესდებო კაპიტალის სიმცირის გამო, ისინი სრულყოფილად ვერ ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. ამას ემატება უნდობლობა მოსახლეობის მხრიდან (რაც მეანაბრეთა მოტყუებამ გამოიწვია), რის გამოც დიდია ბანკების გარეთ მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა. მწირი საკრედიტო რესურსების პირობებში ბუნებრივია რომ ბანკებს

ორიენტაცია აღებული აქვთ მოკლევადიან დაკრედიტებაზე, მაშინ, როცა მხოლოდ გრძელვადიან დაკრედიტებას შეუძლია შექმნას ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებისა და განვითარების საფუძველი, რაც აუცილებელია ტრანსფორმაციის მთელი პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის.

საწარმოთა გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების გაფართოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) აუცილებელია დაწესდეს ყველა საწარმოსათვის ბაკებში ნაღდი ფულის სავალდებულო ინკასაცია, ხოლო საკასო დისციპლინის ნებისმიერი დამრღვევის მიმართ გატარდეს მკაცრი ღონისძიებები;

ბ) კომერციულ ბანკებს უნდა მიეცეთ სრული დამოუკიდებლობა თავად შეარჩიონ დაკრედიტების ობიექტები. თავადვე განსაზღვრონ, რომელ საწარმოს აქვს საიმედო პერსპექტივები და რომელი ვერ შესძლებს კრედიტის დაბრუნებას. პერსპექტიულ და მომგებიან სტრუქტურაზე სახსრების გაცემით კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ არა მარტო საკუთარ მოგებას, არამედ ხელს შეუწყობენ წარმოების განვითარებას და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას საქართველოში;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია. ეროვნულმა ბანკმა მკაცრად უნდა გააკონტროლოს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლა და გადინება, რაც დაეხმარება მას „დოლარიზაციის“ პრობლემის გადაწყვეტაში.

მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი და საბოლოოდ აღმოფხვრილი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის მიერ პირდაპირი კრედიტებით და საგარეო სესხებით დაფინანსების მავნე პრაქტიკა. უნდა გამოინახოს სახელმწიფო ბიუჯეტის შეკვეთების ეფექტიანი გზები.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა მხოლოდ შეღავათიან კრედიტებსა და არაემისიურ შიგა წყაროებზე უნდა იქნეს დაფუძნებული. პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფოს მიერ საკუთარი სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

სახაზინო ვალდებულებების, როგორც დეფიციტის შევსების არაინფლაციური წყაროს წილი, სახელმწიფო ბიუჯეტის დისბალანსის დასაფინანსებლად გამოყენებულ რესურსებში თანდათანობით უნდა გაიზარდოს. სახაზინო ვალდებულებები უზრუნველყოფენ ქვეყანაში მყარ ფულად-საკრედიტო მდგომარეობას, ეკონომიკის სტაბილიზაციას და სწრაფი ტემპით განვითარებას.

ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დეფიციტის შევსების უზრუნველსაყოფად საჭიროა ფინანსური ბაზრის სრულყოფა, კერძოდ, აუცილებელია შეიქმნას ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის ზრდის ტემპს, ხოლო კრედიტზე გადახდილი საპროცენტო თანხა აჭარბებს ექსპორტის ზრდის ტემპს. ეს ნეგატიური მოვლენაა.

თუ ქვეყანას სურს თავიდან აიცილოს სავალო კრიზისი, ექსპორტის ზრდა უფრო მაღალი ტემპით უნდა განხორციელდეს, ვიდრე იმპორტისა, რადგან ექსპორტი ქვეყანაში უცხოური ვალუტების შემოსვლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

როგორც ამას მონაცემები მოწმობენ, საქართველოს საექსპორტო კვოტა (ქვეყნის იმპორტის შეფარდება მთლიან შიგა პროდუქტთან) ჯერ კიდევ დაბალია და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირ-ურთიერთობის ვიწრო მასშტაბზე.

რაც შეეხება საიმპორტო კვოტას, იგი საკმაოდ დიდია. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შიგა ბაზრის მოთხოვნის დიდი ნაწილი იმპორტით კმაყოფილდება.

იმპორტის ნაწილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში მუდმივად აღემატება ექსპორტის წილს, რაც განაპირობებს საგარეო ვაჭრობის ქრონიკულ უარყოფით კვოტას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფითია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

1998-2002 წლებში ჩამოყალიბდა რთული საგადამხდელო ბალანსი. გაიზარდა დეფიციტი (ექსპორტ-იმპორტს შორის სხვაობა).

ექსპორტით იმპორტის დაფარვის ასეთი დაბალი დონე მეტად საგანგაშოა, რადგანაც იგი ქვეყანას უმზადებს საგარეო ვალების ზრდის დიდ საშიშროებას.

დეფიციტის ზრდა იმდენად შემაშფოთებელია, რომ დღის წესრიგში დგას საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა.

საჭიროა გატარდეს ექსპორტის ზრდისაკენ მიზანმიმართული ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, გადაისინჯოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმი, როგორც ერთ-ერთი საშუალება ექსპორტის გაფართოებისათვის.

საიმპორტო საქონლის სტრუქტურაში უნდა მოხდეს ისეთი სახეობების თანდათანობითი შემცირება, რომელთა შეცვლა შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით - „იმპორტშეცვლით“.

თუ საქართველოში იმპორტული პროდუქციის ნუსხას გადავხედავთ, ჩანს, რომ ბევრი მათგანი იმ საქონელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმოება ადგილობრივადაც შეიძლება და თანაც უკეთესი ხარისხისა.

ამასთან, უნდა გაძლიერდეს ექსპორტზე ორიენტაცია, რაც გამოიწვევს შიგა ეროვნული ბაზრის გაფართოებას და უდიდეს შესაძლებლობას შექმნის სავალუტო შემოსავლების გადიდების მიმართულებით.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთ უმთავრეს მიმართულებად მიჩნეული უნდა იქნეს საგარეო ვაჭრობის, კერძოდ, ექსპორტ-იმპორტის რეგულირება, რომლის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ადგილობრივი წარმოების გაფართოება, დასაქმების ზრდა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა. უნდა დაჩქარდეს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესი.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ძირითად მიზანს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება

წარმოადგენს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც შიგა, ისე საგარეო ბაზარზე. ასევე, საჭიროა გამოვლინდეს ახალი საექსპორტო პროდუქციის სახეები. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროდუქციის ხარისხს, როგორც ექსპორტის გაფართოების უპირველეს გარანტს.

საეჯრო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს პრიორიტეტული დარგების პრეფერენციულ მდგომარეობაში ჩაყენება სახელმწიფოს მხრიდან და ამ დარგების პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირება, რაც საბოლოო ანგარიშში ხელს შეუწყობს ექსპორტის მოცულობის გაფართოებას და ქვეყნის სავალუტო რეზერვების შევსებას.

ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილმა საგარეო და შიგა ვალების მართვის დეპარტამენტებმა განსაკუთრებული ყურადრება უნდა მიაქციოს საგარეო და შიგა ვალის მართვის საკითხებს. მისი საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ადმინისტრაციული, სააღრიცხვო და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით და ვალის ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდაზე ზედამხედველობით, არამედ კონტროლი უნდა დააწესოს კრედიტების მიზნობრივ გამოყენებაზე. დეპარტამენტი უნდა დაკომპლექტდეს სავალო პრობლემებში გათვითცნობიერებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც ახალი სესხების მისაღებად გამართულ მოლაპარაკებებში მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას, რათა კრედიტების პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს მათი რჩევები და რეკომენდაციები.

საქართველოს მთავრობა სათანადო დონეზე ვერ აკონტროლებს აღებული კრედიტების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას, რის გამოც მისი ნაწილი ხდება უპატიოსნო, კორუმპირებულ პირთა ხელში. გამომდინარე აქედან, სასურველია დეპარტამენტთან ფუნქციონირებდეს ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც გააანალიზებდა უცხოური სესხების ხარჯვის ეფექტიანობას, მოახენდა ქვეყნის

ეკონომიკაზე ვალების ზემოქმედების შედეგების პროგნოზირებას და სხვ.

აუცილებელია ჩამოყალიბდეს უცხოური დახმარებების და კრედიტების განკარგვის ქმედითი და გამჭვირვალე მექანიზმი. ამ ამცანების გადასაწყვეტად შესწავლილი და გაზიარებული უნდა იქნეს მსოფლიოს გამოცდილება.

უცხოური გრანტების და ჰუმანიტარული დახმარებების შელავათიანი დაბეგვრის პირობებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გამკაცრდეს მათი ადმინისტრირების პროცედურები და სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა. ზედმიწევნით უნდა იქნეს დაცული ამგვარი დახმარებების მიზნობრიობა. ამისათვის, უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს ამ პროცესების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის საფუძვლიანი რევიზია და ა.შ.

საზოგადოების მღელვარებას იწვევს საგარეო ვალების გამოყენების (ხარჯების) გაუმჭვირვალობა. საზოგადოებამ არ იცის, სად, ვის მიერ და როგორ მოიხმარება უცხოური სესხები. საზოგადოებას სურს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია ვალების მიზანმიმართული გამოყენების შესახებ. ინფორმაციული ვაკუუმი კი ბადებს ეჭვს ვალებთან დაკავშირებული სამთავრობო ჯგუფების კორუმპირებულობის თაობაზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგარეო ვალების შესახებ ისეთი კანონის მიღება, რომლითაც შეიზღუდება საგარეო ვალის აღება, განისაზღვრება მათი ეფექტიანი გამოყენების ფორმები და მეთოდები.

ქვეყანაში ბევრი ისეთი საწარმოა პროიექტიზებული, რომელთაც სახელმწიფოსაგან მიღებული ჰქონდათ დიდი რაოდენობით საგარეო სესხები. ვალის სამართალმემკვიდრეობის საკითხების გაურკვეველობის გამო დღეს ამ ვალების გადახდაზე პასუხისმგებლობა ავტომატურად დაკისრებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს. ამდენად, საჭიროა ჩატარდეს საგარეო ვალების სრულყოფილი ინვენტარიზაცია, მისი მიმღებისა და გადახდაზე პასუხისმგებლის დადგენის მიზნით.

უნდა აღმოიფხვრას საქართველოს ეკონომიკაში ფეხმოკიდებული ისეთი ყარყოფითი ფაქტორის როლი, როგორიცაა არალეგალური ეკონომიკური საქმიანობა, ანუ

ჩრდილოეთი (დაუკვირვებადი) სექტორის არსებობა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია უპირატესად საფინანსო კონტროლისაგან თავის არიდებისა და რეალური შემოსავლების დამალვის მიმართულებით. ასევე, არ უნდა დაეუშვათ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობა, ოფიციალურად რეგისტრირებული იმპორტის შემცირება და კონტრაბანდის ადეკვატური ზრდა.

მხედველობაშია მისაღები მეზობელ სახელმწიფოებთან არაორგანიზებული ვაჭრობის მნიშვნელოვანი მასშტაბები. მასში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია კონტრაბანდული გზით შემოტანილ საქონელს (ძირითადად ნავთობპროდუქტები, სურსათი, ფართო მოხმარების ნაწარმი, თამბაქო და სხვ.), რაც ნეგატიური მოვლენაა და უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას.

მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების მიერ გაწეული დახმარება. გვიგზავნიან სურსათს, საწვავს, მედიკამენტებს, აპარატურა-დანადგარებს, ტრანსპორტის საშუალებებს და ა.შ. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ პრაქტიკულად ეს საკრედიტო რესურსები არ გამოიყენება ქვეყანაში სტრატეგიული ხასიათის პრიორიტეტული საწარმოებისათვის. საგარეო ურთიერთობების სტრატეგია ისეთია, რომ, ჯერ ერთი, გაცემული სესხის დაბანდება (ათვისება) იმ ქვეყანაში ხდება, რეომელი ქვეყნიდანაც იგი შემოდის; მეორეც, ყოველად დაუშვებელია ის, რომ მსოფლიო ბანკის საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროგაერთიანების, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ა.შ. კრედიტების სხვა დანიშნულებით გამოყენება. თითოეულ სესხს აქვს თავისი მონიტორინგი (მიზანმიმართულება) და იგი მკაცრად კონტროლდება.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს სესხები არ შეიძლება გამოყენებული იქნას მატერიალური წარმოების სფეროს პრიორიტეტული საწარმოების ასამოქმედებლად, მთავრობამ (ფინანსთა სამინისტრომ) ქვეყნის ბიუჯეტიდან ჯანდაცვის დაწესებულებების წამლებითა და ტექნიკით უზრუნველყოფისათვის გასაცემად გათვალისწინებული თანხა უნდა

გამოყოს ბიუჯეტიდან და მიმართოს სწორედ იმ საწარმოების ასამოქმედებლად, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ.

ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ სხვა დარგების მიმართ გაცემული დახმარების შემთხვევაშიც. საერთაშორისო დახმარების მოცულობით ქვეყნის ბიუჯეტიდან უნდა გამოვათავისუფლოთ თანხები და წარვმართოთ ისინი ინვესტიციებისათვის. ფინანსთა სამინისტროს მოვალეობა და მოწოდება ამ შემთხვევაში სწორედ ისაა, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს ქვეყნის საინვესტიციო და საბიუჯეტო პოლიტიკა.

მაშასადამე, უარი უნდა ვთქვათ საგარეო კრედიტებით იმ პროექტების დაფინანსებაზე, რომლებიც მომავალში არ ქმნიან დავალიანების დაფარვის გარანტიას. მთავრობამ მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს საგარეო ვალის აღება. ქვეყნის ბიუჯეტში მოზიდული უნდა იქნეს სახსრები მსოფლიო ბაზარზე გასატანი კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების გადიდების გზით, იმპორტთან შედარებით ექსპორტის სიჭარბითა და სხვა ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბევრი ქვეყანა (განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჩინეთი) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონკურენცია და პირადი ეკონომიკური დაინტერესება ეკონომიკის ზრდის უმთავრესი ფაქტორია. დღეს მსოფლიოში სულ უფრო მეტად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოებმა საკუთარი ძალისხმევით უფრო მეტი სარგებლობა უნდა მიიღონ წარმოების გაფართოების ღონისძიებებიდან, ვიდრე საგარეო ვალების აღებით.

საჭიროა საინვესტიციო პროგრამის მიზნობრივი და ეფექტიანი დაფინანსება, რაც მიღწეული უნდა იქნეს შიგა დანაზოგების სრული გამოყენების საფუძველზე.

საგარეო ვალის ზრდა საბაზრო ეკონომიკის გზაზე მდგარი ქვეყნისათვის ტიპიური მოვლენაა. მართალია, კრედიტის სახით მოზიდული უცხოური კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს ზრდის, მაგრამ საჭიროა მიღებული სესხების გასტუმრება.

საგარეო სესხების ფასი სისტემატურად იზრდება, სესხის მომსახურების ხარჯები ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით სესხების არაეფექტიანად გამოყენებისას) აჭარბებს მოსალოდნელ შედეგს. დიდი მოცულობით საგარეო ვალის დაგროვების დროს წარმოიქმნება მისი მომსახურების პრობლემა და ა.შ.

ამასთან, წარმოქმნილმა საგარეო დავალიანებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის წინსვლას და არ უნდა გახდეს თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკის დეზორიენტაციის საფუძველი.

სახელმწიფო საგარეო ვალის აღება ნამდვილად აყენებს ზოგიერთ რეალურ და პოტენციურ დილემას, ქვეყნის ხელმძღვანელები არაერთგვაროვან შეფასებას აძლევენ ამ პრობლემას. ზოგიერთს ჰგონია, რომ საგარეო ვალებს ჩამოგვაწერენ. ეს შეცდომაა.

საგარეო ვალების გადაუხდელობის შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული უცხოური ქვეყნები მიმართავენ მკაცრ სანქციებს და ვალს მაინც დაიბრუნებენ.

მაშასადამე, საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც შეამცირებენ სესხის აღების საჭიროებას.

შინაარსი

შესავალი 3
1. რა მიზეზებმა განაპირობეს საქართველოს მიერ საგარეო ვალების აღება? 4
2. რამდენს შეადგენს საქართველოს საგარეო ვალი? . . 5
3. კერძო სტრუქტურების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული სესხები 9
4. მიღებული გრანტები, ჰუმანიტალური და ტექნიკური დახმარებები 10
5. საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებები. 11
6. სახელმწიფოს შიგა ვალი და შემნახველი ბანკების დანგრეული სისტემა 11
7. სახელმწიფოსთვის რომელი ვალია უფრო მძიმე— საგარეო თუ შიგა ვალი? 20
8. იყო თუ არა გამართლებული ხუთასმილიონიანი ევრობონდის გამოშვება? 22
9. რაზე მიგვანიშნებს საგარეო დავალიანების სიმძიმის გამსაზღვრელი კრიტერიუმები? 23
10. ნულოვანი ვარიანტი: გონივრული გადა წყვეტილება თუ შეცდომა? 28
11. „დეფოლტი", რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია 40
12. საგარეო დავალიანების „ცუნამი" 42
13. მოლაპარაკებები გადახდისუნარიანობის კრიზისის დაძლევის მიზნით კრედიტორ და მსესხებელ. . . . ქვეყნებს შორის 45
14. საგალო კრიზისის დაძლევის გზები და საშუალებები 46

დაბეჭდილია შპს „დარბაზში“
ტირაჟი 150 ცალი

ფასი სახელშეკრულებო